1ს.ნოემ.
1369 N 14.117
ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველთუბანი

ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების დამოუკიდებელი გაზეთი

№ 11(23) ✤ ნოემბერი 1999 წელი

ფასი 50 თეთრი

ნოემბერი გიორგობისთვე

წმინდა გიორგის ტროპარი

ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის ამპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ!

„ბედი ქართლისა“ — 2 — ისტორია

გილოცავთ — 4 — მილოცვა

ხელოვნება ცხოვრებასავით მარადიულია — 9 — ხელოვნება

ტექსელ-ჯორჯია — 10 — კურთხევა

სიმონ მეფის მოღვაწეობის ისტორიიდან

სიმონ I-მა არა მარტო ქართველი ხალხის სიყვარული დაიმსახურა, არამედ უცხოეთშიც გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა და საქართველოსათვის თავდადებულმა მეფე-მებრძოლმა. იგი თავის ერთ-ერთ წერილში რომის პაპს სწერდა: „სანამ ცოცხალი ვარ, თავს არ დავზოგავ სამშობლოსათვის, ქრისტესათვის...“

ქართლში მეფობის დროს (1556-1569, 1578-1600 წწ.), სიმონს არ ჰქონდა ნორმალური მოღვაწეობის საშუალება. განუწყვეტლივ ებრძოდა გარეშე მტერს (ჯერ სპარსელებს, შემდეგ – თურქებს); ებრძოდა შინაგან მტრებს, სამშობლოს მოღალატეებს...

სიმონ მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ბევრი ავტორი შეეხო, როგორც ქართველი (მ.თამარაშვილი, ვ.გაბაშვილი, ვ.გუჩუა, მ.სვანაძე, გ.ჯამბურია, ე.ხინთიბიძე, ე.მაჩიტაძე, ი.ტაბაღუა და სხვ.), ისე უცხოელი (ფრ.მაკლერი, ლ.ტარდი, ლუის ხილი ფერნანდესი, ხ.ფლორისტანი და სხვ.), მაგრამ დღესაც ვლინდება ახალ-ახალი მასალები და საბუთები სიმონ მეფის შესახებ ევროპის ქვეყნების არქივებში. ალბათ, დიდძალი მასალა იქნება შემონახული ირანისა და თურქეთის არქივებში – რამდენადაც სიმონს მთელი თავისი სიცოცხლე ამ ორ ქვეყანასთან ჰქონდა ურთიერთობა, ომები.

ესპანეთის არქივებში მუშაობის დროს მივაკვლიე რამდენიმე დღემდე უცნობ დოკუმენტს სიმონ მეფის შესახებ. აქვე მინდა შევეხო ერთ-ერთ მათგანს. ეს არის ვინმე მარკ ანტონიო აბანიოს მიერ 1588 წელს ესპანურ ენაზე რომში შედგენილი ვრცელი წერილი (დაახლოებით 15 გვერდი), რომელიც წერილის ავტორს მადრიდში გაუგზავნიათ. როგორც შინაარსიდან ჩანს, წერილის ადრესატია ესპანეთის მეფე ფილიპე II. წერილში აღწერილია სიმონ მეფის ელჩის, ვინმე ალექსანდრეს რომში ჩასვლა. მას თან ჰქონია სიმონ მეფის წერილები რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან.

აქ შევეხები მარკო ანტონიო აბანიოს წერილს მხოლოდ ერთ ნაწილს, სადაც ავტორი ესპანეთის მეფეს მოკლედ აცნობს საქართველოს, სიმონის პიროვნებას და მის მოღვაწეობას.

სიმონი 19-20 წლის იყო, როცა მამამისი ლუარსაბი მოკვდა. სიმონი ახალგაზრდობიდან გამოირჩეოდა ნიჭით და სიმამაცით. სწორედ ამიტომ დატოვა იგი მამამ – ლუარსაბმა თავის მემკვიდრედ და არა დავითი. სიმონს, მამამისის მსგავსად, უხდებოდა ბრძოლა როგორც გარეშე, ისე შინაგანი მტრების წინააღმდეგ. მას ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა საკუთარმა ძმამ – დავითმა. მან მიიღო მაჰმადიანობა და 1561 წელს, სიმონის სხვა მოწინააღმდეგე ქართველებთან ერთად, სპარსეთში წავიდა, შაჰს მიემხრო. სპარსეთის შაჰის თამაზის კარზე მოკალათებული იყვნენ სიმონის სხვა ქართველი მოწინააღმდეგეები და იქიდან მოქმედებდნენ სიმონის წინააღმდეგ. ახლა ისინი დავითის (დაუდ-ხანის) გარშემო გაერთიანდნენ სიმონის წინააღმდეგ. შაჰმა დაუდ-ხანს მისცა ლაშქარი და საქართველოში გაგზავნა. იგი ქვემო ქართლში დაბანაკდა და იქიდან დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა საკუთარი ძმის – კანონიერი მეფის წინააღმდეგ.

სიმანკას არქივში შემონახულ წერილში ნათქვამია, რომ სიმონი 12 წლის განმავლობაში იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ. „ამ ბრძოლაში მან მრავალჯერ გამოიჩინა თავი და დაიმსახურა დიდება... მაგრამ ერთხელ იგი, მოულოდნელად აღმოჩნდა მეტად მცირერიცხოვანი ჯარით. მას ალყა შემოარტყეს და ხელთ იგდეს სპარსელებმა (1569 წელს). იგი წაიყვანეს ქალაქ ყაზვინში და ჩასვეს იმ ციხეში, სადაც დაპატიმრებული იყო შაჰ თამაზის პირველი შვილი ისმაილი. სიმონს და ისმაილს შორის, სულისკვეთებით და სამხედრო მამაცობით დიდი მსგავსების გამო, ამ საპყრობილეში მათ შორის მეგობრობა დამყარდა. როდესაც შაჰ თამაზი გარდაიცვალა და ისმაილი სპარსეთის შაჰი გახდა, მან გაათავისუფლა სიმონი. ისმაილი მალე მოკვდა (მოწამლეს). ტახტზე ავიდა მუჰამად ჰოდაბანდე. გავიდა დრო და შაჰმა სიმონი ხუთასი სპარსელი ჯარისკაცით პატივით გაგზავნა საქართველოში“. (ჯერ კიდევ ისმაილმა სიმონს საზეიმოდ დაადებინა პირობა, რომ არასოდეს გამოიყენებდა იარაღს სპარსეთის წინააღმდეგ).

ამ დროს თურქეთის სულთანმა მურად მესამემ ომი გამოუცხადა სპარსეთს. სპარსეთის წინააღმდეგ დიდძალი ლაშქარი, მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით დაიძრა სპარსეთისაკენ, 1578 წელს. „თურქები შეიჭრნენ აღმოსავლეთ საქართველოში, ნათქვამია წერილში. დაიკავეს სიმონის მთელი სახელმწიფო“. ამასობაში სიმონი თავისი 500 სპარსელი ჯარისკაცით ქართლში შემოვიდა. გაიგო თუ არა ამის შესახებ იმ დროს გორში მყოფმა მუსტაფა ლალა ფაშამ, თავისი კაცი გაგზავნა სიმონთან და შეუთვალა, შენი გაცნობა მსურს და გორში გელოდებიო. „მაგრამ სიმონი არ ენდობოდა თურქებს. შეჩერდა. შემდეგ უკან დაიხია კატეხში – ბუნებრივად გამაგრებულ ადგილში და შეეცადა გაეზარდა თავისი ძალები. პატრიოტი ქართველები მაშინვე გამოცხადდნენ სიმონთან და შეგროვდა დაახლოებით 5 ათასი ქართველი, რომელთაც სამხედრო გამოცდილება ჰქონდათ“.

სიმონის დაუმორჩილებლობით განაწყენებულმა ლალა ფაშამ „მის წინააღმდეგ გაგზავნა 18 ათასი საუკეთესო ფეხოსანი და მათ მეთაურს უბრძანა, სიმონი ტყვედ მიეყვანა მასთან. სიმონი დაელოდა თურქების ამ ძალებს და როგორც კი ისინი ვიწრო ხეობაში შევიდნენ, მოულოდნელად თავს დაესხა, გაანადგურა, – ხოლო ვინც გადარჩა, უკუაქცია... ამ დროს სიმონმა მინიმალური ზარალი ნახა“.

სიმონმა განაგრძო ბრძოლა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ და „15 დღეზე ნაკლები დროის განმავლობაში გაათავისუფლა თავისი სახელმწიფოს ძირითადი ნაწილი, კერძოდ, ის ადგილები, რომლებიც თურქებს ეკავათ. ახალდაბა, სურამი, ალი, გორი და სხვა ადგილები. მტერს დაუტოვა მხოლოდ ქალაქი და ციხე-სიმაგრე თბილისი, რათა ჰქონოდა შესაძლებლობა, წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ ხელთ ეგდო მდიდარი ნადავლი იმ საგანძურიდან, რომლებსაც თურქები აგზავნიდნენ თბილისში ამ ქალაქისა და ციხე-სიმაგრის შენარჩუნების მიზნით“.

თურქეთის სარდლობამ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა თბილისი და შური ეძია სიმონზე. თავი მოუყარეს დიდძალ ჯარს, რათა მოულოდნელად შეჭრილიყვნენ საქართველოში და მთლიანად დაეპყროთ იგი. თურქეთის ლაშქარში იყვნენ ბეგლარ-ბეგი ანატოლიიდან, ბეგლარ-ბეგი დიარბექირიდან, სინან ფაშა, ხოსროვ ფაშა, ფერჰარდ ფაშა თავიანთი ჯარებით. მათთან იყო გამაჰმადიანებული მანუჩარი სამცხე-საათაბაგოდან.

„როდესაც სიმონი დარწმუნდა, რომ ფერჰარდ ფაშა, მანუჩართან ერთად, მის წინააღმდეგ მოდიოდა... თავისი საუკეთესო მებრძოლებით განლაგდა იმ ადგილას, სადაც დიდი უპირატესობა ექნებოდა ბრძოლაში და ბოლოს, მართლაც თურქები აღმოჩნდნენ მის ხელში. გაანადგურა დიდი ნაწილი, დანარჩენი უკუაქცია, ხოლო ფერჰარდ ფაშას წაართვა ცოლი მთელი თავისი მსახურებით და მრავალი მეთაურით. ფერჰარდ ფაშამ გაქცევით ძლივს უშველა თავს“ – ნათქვამია ზემოხსენებულ წერილში.

ქართლის მეფე სიმონ I
(ქვეყნდება პირველად)

ასეთი სამარცხვინო დამარცხების გამო რისხვითა და სირცხვილით აღსავსე ფერჰარდ ფაშამ, თავის გადასარჩენად, გადაწყვიტა სულთანის წინაშე მანუჩარისთვის დაებრალებინა ღალატი და მოეკლა იგი. მაგრამ გეგმა ჩაეშალა. მანუჩარმა ვაჟკაცურად თავი დააღწია მახეს, სიმონის მხარეზე გადავიდა, კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას, ცოლად შეირთო სიმონის ერთ-ერთი ქალიშვილი და გვერდით ამოუდგა სიმამრს...

წერილში აღწერილია ფერჰარდ ფაშას მეორე ლაშქრობა სიმონის წინააღმდეგ და კვლავ დამარცხება.

წერილის ავტორი შემდეგ ეხება საერთოდ საქართველოს, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს და ქართველების ვაჟკაცობას ბრძოლებში... „ქართველ მეფეებს ომში თან მიჰყავდათ მრავალრიცხოვანი სასულიერო პირები მათი უფროსის (პრელატის) მეთაურობით. ისინი ჯვრებით და ანთებული სანთლებით ხელში წინ მიუძღვიან ჯარს, მღერიან ფსალმუნს და ლოცულობენ გამარჯვებისათვის, ხოლო მტრის მოახლოებისას, როდესაც უკვე გაცემულია ბრძანება შეტევის დაწყებაზე, სასულიერო პირები თანდათანობით უკან იხევენ, იკავებენ უშიშარ ადგილს და ლოცულობენ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, ხელთ უპყრიათ რა მაღლა აწეული მეფის შტანდარტი ჯვრით...“

ილია ტაბაღუა

მეფე ერეკლე
მერაბ მეძმარიაშვილის ქანდაკება

„ბედი ქართლისა“

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა გართულდა. საქართველო დაქუცმაცებული იყო სამეფო-სამთავროებად. ამ სამეფო-სამთავროებს შორის ხშირად დაძაბული ურთიერთობა იყო. საქართველოს მუდამ საფრთხე მოელოდა გარეშე მტრებისაგან. ორი დიდი მუსლიმანური იმპერია – თურქეთი და სპარსეთი, ყოველთვის მზად იყვნენ, თუ მომენტი დადგებოდა, ემოქმედათ მის წინააღმდეგ. ერეკლე მეფე ამაში დარწმუნებული იყო.

ასეთ ვითარებაში მეფე ერეკლემ გადაწყვიტა დამხმარე ძალები ქვეყნის გარეთ ეძია. პირველ რიგში მან ერთმორწმუნე რუსეთს მიმართა, ჯერ-კიდევ, 1871 წელს ერეკლე მეფემ პეტერბურგში გაგზავნა რუსეთთან კავშირის დადების თავისი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით რუსეთს უნდა ეცნო ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფედ; რუსეთი უნდა დახმარებოდა საქართველოს იმ ტერიტორიების დაბრუნებაში, რომელიც მან ადრე დაკარგა მეზობელ დიდ იმპერიებთან უთანასწორო ომების შედეგად; რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ერეკლეს შინაგან საქმეებში და სხვა.

ერეკლე მეფე ამ პროექტში მიდიოდა დათმობაზე: 1. მომავალში ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა და 2. ქართლ-კახეთის სამეფო მომავალში თავის საგარეო პოლიტიკას განახორციელებდა რუსეთის თანხმობით.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის მეთაურს პანინს არ მოეწონა ერეკლე მეფის ეს პროექტი და ამიტომ მთელი ათი წლის განმავლობაში რუსეთიდან პასუხი არ მიუღია მეფე ერეკლეს.

ერეკლეს პირველ რიგში აინტერესებდა სამხედრო დახმარების მიღება ან მიეღო სესხად ფული და თვითონ შეექმნა არმია, თუნდაც რამდენიმე პოლკი ევროპის ყაიდაზე და ამით შეეჩერებინა მოძალადეების შემოსევები, ხოლო ამის შემდეგ შეუდგებოდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების განხორციელებას, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას და უცხოელების მიერ მიტაცებული საქართველოს მიწების დაბრუნებას.

ერეკლე მეფეს ჰქონდა საფუძველი თხოვნით მიემართა რუსეთისათვის; რუსეთ-თურქეთის ომში (1768-1774 წწ.) მან დიდი დახმარება გაუწია რუსეთს. და დიდძალი ხარჯები გაიღო. ახლა მხოლოდ სესხის სახით ითხოვდა დახმარებას რუსეთისაგან. ერეკლემ ვერ მიიღო ეს სესხი. რუსეთს არ აინტერესებდა და არც აწყობდა საქართველოს გაძლიერება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ერეკლემ თხოვნით ევროპის ქვეყნებისათვის მიემართა.

ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ერთგვარი ტრადიცია არსებობდა. საქართველოს მეფე-მთავრები ხშირად იყენებდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს. ევროპიდან სესხის მიღებისათვის მეფე ერეკლემაც სწორედ მისიონერებს მიმართა. 1781 წელს მეფე ერეკლემ იტალიელი მისიონერი დომენიკე ტრიესტელი გაგზავნა ევროპაში, მაგრამ მან მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია და იქ გარდაიცვალა. მეფის მიერ გატანებული წერილები დაიკარგა.

1782 წელს მეფე ერეკლემ კვლავ გაგზავნა მაუროს ვერონელი ევროპაში, რომელიც რუსეთის გზით წავიდა. ჩავიდა პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში (ეს ქალაქი მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა), იქ ერთ-ერთ მონასტერში გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილის წინ მან მოასწრო მონასტერში მყოფი კათოლიკე ბერებისათვის ეთქვა თავისი მისიის შესახებ. ორმა ბერმა ერეკლეს წერილები ჩაიტანეს ვენაში და იმპერატორის კარზე ჩააბარეს.

ვინაიდან ვენაში ეს წერილები ვერ ითარგმნა, რადგან არავინ გამოჩნდა ქართული ენის მცოდნე, ამიტომ წერილები გადაიგზავნა ვატიკანში. აქ გაკეთდა წერილების თარგმანი, რომის პაპის სახელზე დაწერილი წერილი დარჩა რომში, დანარჩენი გაეგზავნა: პრუსიის მეფეს, საფრანგეთის მეფეს, სარდინიის მეფეს, ვენეციის რესპუბლიკას და ავსტრიის იმპერატორს იოსებ II-ს.

ამ დროისათვის რუსეთმა ყირიმი წაართვა თურქეთს, დაიპყრო ჩრდილო კავკასია და კავკასიონს მიადგა.

1783 წლის 24 ივლისს, ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია) ხელი მოაწერეს რუსეთსა და ქართლ–კახეთის სამეფოს შორის ტრაქტატს, რომელიც ისტორიაში შევიდა გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით.

ილია ტაბაღუა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულ გამარჯვებით გევლოთ მეფეთუბნელებო!

საფიცხვნოს თავზე დამჯდარნო ახლა ჩვენ გვინდა, სუყველას
სიტყვა რომ მოგდით ფყლიანი, საქმეც მოგდგამდეთ ფხიანი.

„მეფეთუბანშიც“ გვეწვიე,
როცა მოიცლი საჩვენოდ.
დეპუტატობას გილოცავთ,
სახელოვანო რაჭველო!

„ვაქკაცსა უნდა უყვარდეს
სამშობლო, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდაც ბუზივით
ეხვიოს თავზე მტერია...“



ზეზვა ღულუნიშვილი

ოთარ ჯანიაშვილს

ზეზვა მეულლესთან მანანა ზოლელავასთან და შვილებთან

ჭაბუა ამირეჯიბი

გილოცავთ

გაზეთ „მეფეთუბნის“ რედკოლეგია გულითადად მოგესალმებათ დიდ ქართველ მწერალს და გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენ გვეამაყება თქენთან ერთად მუშაობა, გვაზარებს თქვენი შემოქმედებითი წარმატებები და კერძოდ მეტად საჭირო და ნაყოფიერი მუშაობა თქვენს მიერ გამოცემულ გაზეთ განახლებულ „იევრიაში“. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ქართველი მკითხველის სასიხარულოდ.

რედაქტორთა საბჭო

შენი სახელი – ჭაბუა
რითმას მოითხოვს: „ბაბუა“
შენ კი, არა ხარ ბებერი
და სულ სხვა რითმა შეგფერის.
ერთი კი არა, ორგვარი –
„დათა“ ან „გორა მბორგალი“!

მ.ქ.

საქართველოს გამოჩენილ მოქანდაკეს, საქართველოს სახალხო მხატვარს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსს, ბატონ მერაბ კონსტანტინეს-ძე მერაბიშვილს რედაქცია „მეფეთუბანი“ ულოცავს დიდ შემოქმედებით გამარჯვებას ქალაქ მოსკოვში პეტრე ბაგრატიონის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით და უსურვებს დიდ მიღწევებს შემდგომ მის შემოქმედებით საქმიანობაში.

მერაბ მერაბიშვილი

ჩემო თბილის ქალაქო



მთავარმართებლის სასახლე
გოლოვინის პროსპექტზე

მეფისნაცვლის სასახლე. ჯერ კიდევ 1802 წელს ამ ადგილას აშენდა საქართველოს მთავარმართებლის სასახლე, რომელიც 1807 წელს ახალი ნაგებობით შეიცვალა. XIX საუკუნის 20-იან წლებში ამ შენობამ რეკონსტრუქცია განიცადა (ნახ. 1. ფოტო 1865-1867 წწ.); იგი წარმოადგენდა გვიანი კლასიციზმის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშს. შენობამ მის სრულ გადაკეთებამდე ორჯერ განიცადა ნაწილობრივი რეკონსტრუქცია – ჯერ 1845-1847 წლებში არქიტექტორ ი. სემიონოვის პროექტის, ხოლო 1858-1859 წლებში არქიტექტორ ო. სიმონსონის პროექტის მიხედვით. XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გადაწყდა მეფისნაცვლის ახალი სასახლის აგება ე.წ. ღუნიბის მოედანზე (ეს სახელწოდება მოედანმა მიიღო 1859 წ. აულ ღუნიბში შამილის შეპყრობასთან დაკავშირებით). ამ მიზნით 1864 წლის 10 აპრილიდან (ახ. სტილით) 1865 წლის 12 იანვრამდე გამოცხადებული იყო დახურული კონკურსი. პირველი პრემია მიენიჭა თბილისელი არქიტექტორის ო. სიმონსონის პროექტს. მაგრამ ახალი შენობის აგება ვეღარ მოხერხდა და გადაწყდა ძველი სასახლის გადაკეთება და გაფართოება. რეკონსტრუქცია (რომლის შემდეგაც დღემდე შენობას სახე არ შეუცვლია) განხორციელდა 1865-1869 წლებში ო. სიმონსონის პროექტითა და უშუალო ხელმძღვანელობით. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1937 წელს ამ შენობაში დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსაწყობად. ეს რეკონსტრუქცია მხოლოდ სათავსებს შეეხო, გარეგნულად შენობა არ შეცვლილა. 1941 წლის 2 ივნისს მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (რუსთაველის პრ., 6).

კავკასიის მუზეუმი გაიხსნა 1856 წლის 17 მაისს. სპეციალური შენობის აგებამდე მუზეუმი მოთავსებული იყო კერძო ბინებში. მუზეუმის შენობა აიგო 1868-1869 წლებში გოლოვინის პროსპექტისა და ნიკოლოზის ქუჩის კუთხეში (ამჟამად რუსთაველის პროსპექტისა და კეცხოველის ქუჩის კუთხე) თბილისელი არქიტექტორის ა. ზალცმანის პროექტით. მისი საზეიმო გახსნა შედგა 1870 წლის 13 სექტემბერს. 1879-1880 წლებში თბილისელი არქიტექტორის ლ. ბილფელდის ხელმძღვანელობით მუზეუმის შენობას დაუშენეს მეორე სართული. ახლად რეკონსტრუირებული მუზეუმი გაიხსნა 1881 წლის 20 სექტემბერს, სრულიად რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობის გახსნის დღეს. XX საუკუნის დასაწყისში გადაწყდა ამავე ადგილას კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგება. 1910 წელს დამტკიცდა თბილისელი არქიტექტორის კ. ტატიშჩევის პროექტი. მაგრამ მშენებლობა თბილისელი არქიტექტორის მ. ნეპრინცევის პროექტით დაიწყო. შენობას საფუძველი ჩაეყარა 1913 წლის 8 სექტემბერს. მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ძველი შენობები დაანგრიეს 1911 წელს. პირველმა მსოფლიო ომმა შეაჩერა მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა. იგი დამთავრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1929 წელს, თბილისელი არქიტექტორის ნ. სვეეროვის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით და შენობამ თავისი საბოლოო, თანამედროვე სახე მიიღო. ამჟამად იქ მოთავსებულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (რუსთაველის პრ., 3).

ქაშვეთის ძველი ეკლესია. წმინდა გიორგის ქაშვეთის ძველი ეკლესია აშენდა XVIII საუკუნეში (სამშენებლო წარწერის თანახმად, 1754 წ.) ამ ადგილას არსებული VI საუკუნის წმ. დავით გარეჯელის ოთხფსიდიანი ეკლესიის საძირკველზე. XX საუკუნის დასაწყისისათვის ეს ეკლესია იმდენად დაზიანდა, რომ გადაწყდა მის ნაცვლად ამავე ადგილზე ახალი ეკლესიის აგება. ძველი ეკლესია 1904 წლის ზაფხულში დაანგრიეს, ხოლო ახალს საძირკველი ჩაეყარა 1904 წლის 25 ნოემბერს წმ. გიორგის (ამჟამად ჯორჯაძის) ქუჩაზე. ახალი ეკლესია გაიხსნა 1910 წლის 13 ნოემბერს. ეკლესია ორსართულიანია. ქვედა სართულში სული წმინდის ეკლესიაა, რომლის კურთხევა შედგა 1909 წლის 2 მაისს. პროექტის ავტორი იყო თბილისელი არქიტექტორი ლ. ბილფელდი. ამ ეკლესიის აგებისას ნიმუშად გამოყენებულია შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი – სამთავისის ტაძარი (1030 წ.). ამავე დროს მის არქიტექტურაში შეტანილია ზოგიერთი ელემენტი, რომელიც უცხოა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. კედლების ორნამენტული დეკორის ესკიზი ეკუთვნის არქიტექტორ ე. ანდრეოლეტის, ხოლო შეასრულა იგი ცნობილმა ქართველმა ქვის ოსტატმა ნ. აღლაძემ. ქაშვეთის ახალი ეკლესია ქართული სათავადაზნაურო ბანკის შენობასთან (1913-1916 წწ.) ერთად წარმოადგენს ხუროთმოძღვრებაში ქართული ეროვნული სახის ძიების მნიშვნელოვან ცდას.



ძველი თბილისის ზოგიერთ შენობას გარკვეული ადგილი უკავია ქალაქის არქიტექტურის ისტორიაში. ასეთია, მაგალითად, მეფისნაცვლის სასახლე, კავკასიის მუზეუმი, სურათების გალერეა, ქაშვეთის ახალი ეკლესია და სხვა.

1907-10 წლებში გოლოვინის პროსპექტზე შენდება სამხედრო „დიდების ტაძარი“ (ახლ. სურათების გალერეა) არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის მიერ. ტაძრის დაარსების მიზანი იყო მის დარბაზებში თავი მოეყარათ რუსეთის იარაღისთვის, საგამოფენოდ.



წელს, თბილისი-ქალაქობის დღესასწაულზე ქალაქის მერიამ, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭა. მან ეს პატივი და ღირსება მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით და მოღვაწეობით დაიმსახურა.

ეროვნული ცოცხალი

როინ მეტრეველი

ბატონო როინ, ჩვენც, მეფეთუბნის რედაქცია სულითა და გულით ვუერთდებით ამ ღირსეულ აღიარებას. ვიცით, რომ თქვენი პირუთვნელი სამსახური სამშობლოს, ხალხისა და ქვეყნის წინაშე იმ მცნებებით გამოიხატება, რასაც მაღალი პროფესიონალიზმი, უანგარობა და უღალატობა ჰქვია. ცხოვრების დიდი გზა გაიარეთ – სტუდენტობიდან აკადემიკოსობამდე, ბევრი კარგი საქმე გიკეთებიათ და კვლავაც ბევრს გააკეთებთ. დღეს კი ქართველი ახალგაზრდობის აღზრდას გამორჩეული ღირსებითა და სიქველით ემსახურებით.

ძნელია მოღვაწეობა თვალსაჩინო ასპარეზზე, როცა ყოველ თქვენს მოქმედებას, სიტყვას თუ გადაწყვეტილებას სახელმწიფოებრივი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, და თუ წლები ადამიანის ცხოვრების სარკეა, სიამაყით შეგიძლიათ ჩაიხედოთ ამ სარკეში, თქვენი ცხოვრების გზა რთული, მაგრამ მაღალი ზნეობით განათებული გზაა...



ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო როინ. თქვენგან კიდევ ბევრ სიკეთეს მოველით!

პატივისცემით
მეფეთუბნის
redakcia

უნივერსიტეტის ეკლესია

ლეგენდა თუ სინამდვილე?!

საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, სიამაყით აცხადებს ხოლმე ქართველი კაცი. მართლაც, თითქოს, ღმერთს ყველა სიკეთის კალთა გადმოუბერტყია დედამიწის ამ პატარა მონაკვეთზე და აქაურ სამოთხედ უქცევია. სწორედ ამიტომ ბევრი მტერიც ჰყოლია. ბევრჯერ დაქცეულა, დანგრეულა და ისევ აღმდგარა. ქვეყანა ხალხია და ხალხი ქვეყანა. ქართველი ხალხი თუმცა მეოცნებე, მაგრამ მებრძოლიც იყო. ყოველთვის უკეთეს მომავალზე ოცნებობდა, ქმნიდა და თავისას შეუპოვარი ბრძოლით იცავდა. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რაც კარგები ვართ ქართველები ვართ მეთქი, მაგრამ სხვამ თავისი თქვას და აქოს, ვაღიარებ და პატივს ვცემ, მე კი ჩემი მიყვარს და ჩემსას ვამბობ.

დიახ, მეამაყება, რომ ფაქტები ჯიუტად ღაღადებენ. სადღაც შორს საუკუნეების მიღმა დაიწყო ქართველმა კაცმა რწმენისა და ცოდნის ერთიანობით თავისი ისტორია და არც დღეს კარგავს ამ გზას.

მეფე დავით აღმაშენებელმა, როგორც მისი მემატიანე გვიამბობს, გელათის აკადემიის დაარსებით, „სხვა ათინა“ და „ახალი იერუსალიმი“ მოავლინაო. ათენი ხომ სწავლა-აღზრდის, განათლების ცენტრი იყო, ხოლო იერუსალიმი რწმენის. ამ სულმნათმა მეფემ გელათის აკადემია მაღალი განათლებისა და ღრმა რწმენის ერთიანობის სიმბოლოდ აქცია. ასევე იყო იყალთოს აკადემიაც.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვევლინება გელათისა და იყალთოს აკადემიების, რწმენისა და ცოდნის ჭეშმარიტ ტაძრად და მემკვიდრედ. ეს არ არის ლეგენდა, ეს სინამდვილეა. დგას უნივერსიტეტის ეზოში ორი თეთრი ტაძარი, I კორპუსი და ეკლესია. ეკლესია, რომელიც იქნებ ბევრმა არ იცის, აშენდა და ამოქმედდა ღვთის შეწევნით, კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა კურთხევითა და უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის ძალისხმევით.

როინ მეტრეველი და საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II

რწმენისა და ცოდნის ერთიანობა, აი სად იჭედება და ყალიბდება ერის მომავალი, ქვეყნის ხვალინდელი დღე.

უნივერსიტეტი

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „მინი სახელმწიფოა“ სახელმწიფოში.

დღეს იგი წარმოადგენს მსხვილ სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსს.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპეტენტურობა აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ძნელია ამ პატარა წერილში ჩეტიოს თუნდაც უბრალოდ ჩამოთვლა იმ სასწავლო-სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საქმიანობის ან იმ შენობა-ნაგებობების, იმ კაბინეტ-ლაბორატორიების, იმ ორგანიზაცია – დაწესებულებების, იმ ძირითადი თუ დამხმარე საშუალებების ჩამოთვლა, რაც მრავალათასიანი სტუდენტი-ახალგაზრდობის, სწავლა-განათლებას ემსახურება.

საოცარია, მაგრამ სინამდვილეა. დღეს უნივერსიტეტში, მის ფილიალებში და მისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებლებში ცოდნას ეუფლება 30 000-ზე მეტი ახალგაზრდა, მათ პროფესიულ დაოსტატებას 5 500-მდე პროფესორ-მასწავლებელი და დამხმარე პერსონალი ემსახურება.

დღეს

დღეს უნივერსიტეტში, როგორც ყოველთვის, უდიდესი ყურადღება ექცევა მეცნიერების ფუნდამენტური და გამოყენებითი პრობლემების კვლევას. საამაყოა, რომ ამ პრობლემებზე უნივერსიტეტში მსოფლიო ავტორიტეტის მქონე არაერთი მეცნიერი მოღვაწეობს, დიახ საამაყოა, რომ ისინი არჩეულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიებისა და დარგობრივი საერთაშორისო საზოგადოებების წევრებად.

დღეს ჩვენს დედა უნივერსიტეტს დიდი კავშირები აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებსა, სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებთან: გერმანიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, დანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ირანში, შვეიცარიაში და სხვაგან.

დღეს ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ქვეყნების გაცვლით სასწავლო პროგრამებში.

დღეს დიდ მოთხოვნებს უყენებს და ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტელად ყოფნა.

დღეს მეტად რთული და საპასუხისმგებლოა ამ „მინი სახელმწიფოს“ ღირსეულად მართვა.

უნივერსიტეტის რექტორი

დიდ საქვეყნო საქმეს თუ დიდი პიროვნება არ ჩაუდგა სათავეში, უმართავი გახდება და ადრე თუ გვიან დაიქცევა და გაპარტახდება. ჩვენს სასიქადულო უნივერსიტეტს თითქმის ყოველთვის ღირსეული ადამიანები ედგნენ სათავეში, რის შედეგადაც მისი ავტორიტეტი მუდამ მაღლდებოდა.

ტრადიციულად წინამორბედი რექტორი მომდევნოს ისეთ საქმეს უტოვებდა სამართავად, რაც საერთო-სახალხოდ ითვლებოდა, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით. ბოლო წლებში კი უნივერსიტეტის ცხოვრებაში მომარეობა. ეს ის დრო იყო, როცა უზარმაზარმა წარმოება-დაწესებულებებმა ვერ გაუძლო თვითმმართველობაზე გადასვლას და დაიხურა. სამსახურის გარეშე დარჩა მრავალი ათასი ადამიანი.

ე. შევარდნაძე, რ. მეტრეველი, მამა გიორგი უნივერსიტეტის ეკლესიაში

ბდა უდიდესი ცვლილება. 1992 წლიდან იგი გახდა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებელი. თვითმმართველობაზე გადასვლა თავისთავად, რა თქმა უნდა, კარგი იყო, მაგრამ ასეთი დიდი ორგანიზაციის ახალ რელსებზე გადაყვანა მძიმე და ურთულესი პრობლემების წინაშე დააყენებდა მის ხელმძღვანელს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქმეს კიდევ უფრო ამძიმებდა ჩვენი ქვეყნის რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მძიმე დროს უნივერსიტეტს სჭირდებოდა ენერგიული, განათლებული და ამავე დროს დიდი ადმინისტრაციული ალღოსა და უნარის მქონე ადამიანი, რომელიც შეძლებდა ამ სიტუაციაში მის გადარჩენას. მადლობა ღმერთს, რომ გაუძლო ამ გამოცდას უნივერსიტეტმა. მადლობა ღმერთს, რომ მას ღირსეულად უძღვება ბატონი როინ მეტრეველი. დიახ, დღეს უნივერსიტეტის რექტორია მისივე აღზრდილი აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ბატონი როინი ამ რთულ და საპასუხისმგებლო, ამ საქვეყნო საქმეს ასე თავდადებით და რეალურად, ასე გულისხმიერად და სათუთად, ალბათ, იმიტომაც დაუდგა ბურჯად, რომ უნივერსიტეტი მისთვის, მართლაც, ახლობელი და მშობლიურია. მან ხომ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დიდი წარმატებით დაამთავრა 1962 წელს, ხოლო 1965 წელს მისივე ასპირანტურა.

ძალიან ძნელია მოკლედ ისაუბრო ისეთ მრავალმხრივ და კოლორიტულ პიროვნებაზე, როგორიც ბატონი როინია, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც გადმოვცემთ მის წარმატებებსა და დამსახურებებზე, რის გამოც მან თავის კოლეგებსა და მთელს საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტი, დიდი პატივისცემა და აღიარება მოიპოვა.

ბატონი როინი 100-მდე შრომის და 10 მონოგრაფიის ავტორია. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიაა „მეფე თამარი“, რომელიც 1991 წელს გამოიცა. იგი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა და მოხსენებებით გამოდიოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა, კონგრესებსა თუ სიმპოზიუმებზე, მათ შორის აღსანიშნავია 1989 წლის ფრანკფურტის, 1992 წლის მიუნხენის, ამავე წელს სეულის, ხოლო 1993 წლის ლონდონის სამეცნიერო ღონისძიებები.

ბატონი როინი ახალგაზრდობიდანვე ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. აი ზოგიერთი მათგანი:

1972 წლიდან დღემდე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

1986-88 წლებში თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია.

1991 წელს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივნად.

1990-91 წლებში არჩეული იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად. ამავე წელს იგი მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ რედაქტორადაც აირჩიეს.

1992 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს.

1993 წელს არჩეულია საქართველოს აკადემიის აკადემიკოსად.

1994 წელს აირჩიეს ევრაზიის უნივერსიტეტების ასამბლეის გენერალური კომიტეტის წევრად.

1996 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე წელს არჩეულია აშშ-ს (კალიფორნია) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრად, ხოლო 1997 წელს – უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად. და, რაც მთავარია, 1992 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

თ. ხუროძე, და რ. მეტრეველი გიოტინგენის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ როინს თავისი თავდაუზოგავი შრომისა და ღვაწლისათვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდო, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მეცნიერების დარგში.

გვაპატიოს ბატონმა როინმა თუ რაიმე არ ვიცით ან გამოგვრჩა მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ რაც ითქვა, ისიც დასტურია იმისა, რომ იგი, მართლაც, კოლორიტული პიროვნებაა.

საამაყოა, რომ ასეთი დიდი პიროვნება უდგას სათავეში დიდი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ძნელია, ძალიან ძნელია ისეთი დიდი „სახლის“, როგორიც უნივერსიტეტია და ისეთი დიდი „ოჯახის“ მოვლა, როგორიც უნივერსიტეტის საზოგადოებაა. ჩუმ-ჩუმად ალბათ ვიღაც საყვედურსაც ამბობს რაღაცის გამო, მაგრამ ბატონი როინი ქართველი კაცის სიდინჯითა და სიდარბაისლით, გულისხმიერებით, შინაგანი კულტურით, თვითდისციპლინით, თავმდაბლობით და ობიექტურობით, დიდსულოვნებით და დაუცხრომელი ენერგიით, ცხოვრებისეული და პრაქტიკული გამოცდილებით ღირსეულად უვლის და პატრონობს ამ მართლაცდა მამულიშვილურ საქმეს. სწორედ ამიტომაც ამ წელს თბილისელაქობის დღეს, თბილისის მერიამ მის დამსახურებებს – თბილისის საპატიო მოქალაქეობა შემატა. უნივერსიტეტი მისი თავგაცით ხომ თბილისის ნივთიერი ნაწილი და სულიერი სახეა.

შეფასებანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



პ. მელიქიშვილი

ღა ახლე



ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. რაზმაძე

დაიწყო

1914 წელს რუსეთის მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი ეროვნული სასწავლებლების დაარსების შესახებ. ქართულმა საღმა გონმა და აზროვნებამ ჯავახიშვილის თაოსნობით უცბად აიტაცა ეს უფლება და ბევრი გაჭირვებისა და წვალების შემდეგ 1918 წლის 26 იანვარს წმინდა დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს, ხაზი გაესვა იმას, რომ თბილისის უნივერსიტეტი, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი განათლების და კულტურის დიდ ტრადიციებზე შეიქმნა.

ოცნება სინამდვილედ იქცა. იმ დროისათვის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმრავლეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა და მოღვაწეობდა ბევრი ქართველი. მათ უანგაროდ მოაშურეს ქართულ უნივერსიტეტს, აღაშენეს და ააღორძინეს.

მას შემდეგ 80 წელი გავიდა. ეს დრო თითქოს ცოტაა საზოგადოების ცხოვრების ისტორიაში, მაგრამ უნივერსიტეტის საძირკველს ქვაკუთხედად ისეთი ადამიანების სახელები დაედო, როგორებიც იყვნენ: ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, შ. ნუცუბიძე, აკ. შანიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ე. თაყაიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ივ. ბერიტაშვილი და კიდევ ბევრი მათი შემდგომი თაობის წარმომადგენლების სახელებიც, რომ ეს იყო მყარი საფუძველი, რათა უნივერსიტეტს აღეზარდა ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნებები, რომლებმაც სამშობლოს გარეთ გაიტანეს და ავტორიტეტი შემატეს ქართული ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის თუ სხვა სკოლების ღირსებას.

საინტერესოა ერთი ფაქტი, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლებს ანალოგიური ინიციატივა ჰქონდა. ... რამეთუ, საქართველო მისი მეფობისას ჰყვავოდა და ქართველთათვის ეს ეპოქა იდეალი იყო. ამით ... ძნებლებში ყველაზე პირველი და დიდი ენთუზიასტი იყო ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ მისი პირველი რექტორი გახლდათ პეტრე მელიქიშვილი. თუ რატომ არა თვითონ ბატონი ივანე, აქვე მოვიყვან მის სიტყვებს: „პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“. დიდი ადამიანებისათვის არ არის ძნელი სძლიონ ადამიანურ პატივმოყვარეობას. ამ ზნემაღალი ადამიანის თავმდაბლური ნაბიჯი სანიმუშოა დღესაც. ამ დიდი სულის ადამიანმა უნივერსიტეტის ღირსება და ავტორიტეტი პირადულზე მაღლა დააყენა. თუმცა, თავადაც საკმაოდ განსწავლული და ცნობილი პიროვნება იყო, მაგრამ იმ დროისათვის პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობის უფრო ფართო არეალი ჰქონდა.

უნივერსიტეტის გახსნისას 370-მდე სტუდენტი და 100-მდე თავისუფალი მსმენელი ჰყავდა. მათ ემსახურებოდა შვიდი პროფესორი, ხუთი პროფესორის მოადგილე, ორი მეცნიერ-ხელმძღვანელი და სამი ლექტორი. პირველი, ისტორიული ლექცია „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა

ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა

ძველ ქართულ მწერლობაში“ წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

დიახ ასე იყო. XX საუკუნის დასაწყისში, ქართული სულიერი კულტურის ცხოვრებაში, ახალი ერა დაიწყო.

უნივერსიტეტის ბავშვობანი

უნივერსიტეტში რაც არ უნდა დიდი საქმე კეთდებოდეს, ის თუ სტუდენტი-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პრობლემებით არ არის გაჯერებული, ფასი არ ექნება. სტუდენტი ხომ მისი მომავალია, მისი ხვალინდელი დღეა.

ყველა დროში და, რა თქმა უნდა, დღესაც ახალგაზრდობა არის ყველაზე ცოცხალი და მოძრავი ნაწილი საზოგადოებისა. ცუდიც და კარგიც შეიძლება ერთნაირად აიტაცოს, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილება არ აქვს და დედის წინ მორბენალი გაუხედნავი კვიცივითაა. სწორი მდინარება და სწორი მიმართულების მიცემა კი უფროსი თაობის ვალია. მათ მოთმინებით და სიყვარულით უნდა შეასრულონ ეს მოვალეობა. ვფიქრობ დღევანდელ ჩვენს ახალგაზრდობას უფრო მეტი მოფერება უნდა. რატომ?

ბოლო ათი წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. დღეს რომ ჩვენი სტუდენტები არიან ისინი 1990-91, 92 წლებში სკოლის მოსწავლეები იყვნენ. მათი ჩამოუყალიბებელი მსოფლმხედველობა არსებულ ქაოსს პირისპირ შეეჯახა. მძიმე დრო იყო. ცხოვრების ერთი წესი ინგრეოდა და ახალი იწყებოდა. ნანგრევებში კი სწორედ ეს ბავშვები მოჰყვნენ. დღეს ქარაშხალი გადაელილია. გმირობის ტოლფასი იყო მასწავლებლების შრომა, რომ ასე თუ ისე შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ მოზარდი თაობის სულები, მათი აზროვნება.

დღეს კი მართლაც საამაყოა, რომ ამ მძიმე დროგამოვლილ ბავშვებში, ახალგაზრდებში, სტუდენტებში ცოდნის და სიკეთის სურვილია.

ძნელია უნივერსიტეტის მრავალათასიან სტუდენტურ საზოგადოებაში ყველას ერთნაირი უნარი ჰქონდეს ცოდნის დაუფლებისა, ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ გულს ახარებს, როდესაც გაეცნობი სტუდენტური აქტივის მუშაობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი აქტიური უჯრედი არის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი. მათი დევიზია „ღირსეულად ვატაროთ უნივერსიტეტელის სახელი“. კავშირის მიზანია, აქტიურად წარმართოს სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საქმიანობა. აწყობენ კონფერენციებსა და სემინარებს თანამედროვე მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე. მათი ინიციატივით საუნივერსიტეტო საშუალო სკოლაც კი დაარსდა, სადაც მუშაობენ წარჩინებული სტუდენტები და ასპირანტები. ამჟამად მუშაობენ სამეცნიერო ნაშრომების კრებულის გამოცემაზე. ეს რაც შეეხება მეცნიერულ მოღვაწეობას. აქ სტუდენტები აქტიურად უდგანან კვალში თავიანთ პროფესორ-მასწავლებლებს.

უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმულნი მხატვრულ თვითმოქმედებაშიც. ეწყობა სტუდენტური ნამუშევრების გამოფენები. ბოლო წლებში დიდი წარმატებით ტარდება „სტუდენტური დღეები“. ეწყობა გასართობი შოუ პროგრამები, კონცერტები, მუშაობს ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები. მუშაობს მინი თეატრი. თვალსაჩინოა აგრეთვე სტუდენტთა სპორტული მიღწევები. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიადებსა და სხვადასხვა შეჯიბრებებში. 1996 წელს უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. საამაყოა, რომ უნივერსიტეტში სწავლობს მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს მრავალი ჩემპიონი. საქართველოს პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები.

განსაკუთრებულად გამორჩეულია ბოლო ორი წელი ჩვენი სტუდენტების მხატვრულ თუ სპორტულ თვითმოქმედებაში. აღვნიშნავთ ზოგიერთ წარმატებას 1998 წელს უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა გუნდი ამიერკავკასიის ლიგის ჩემპიონი გახდა, ხოლო იგივე გუნდი „თსუ“ 99 წლის სეზონის აღმოჩენად იქნა აღიარებული ქ. სოჭში. ამავე წელს, ეგრეთ წოდებულმა, „მან-სანკანის“ ნაკრებმა გუნდმა კვლავ წარმატებით იასპარეზა კიევში და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა. ჩვენი სტუდენტები მიწვეულნი იყვნენ იურმალაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე.

შორდან ძნელია შენიშნო რამდენ კარგ საქმეს აკეთებენ ჩვენი სტუდენტები. რა ღირსეული მემკვიდრეები არიან. თუმცა, თვითონ მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ახალ ამოცანებს ისახავენ. ისინი ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობის წინაშე ახალი, სრულიად განსხვავებული მიზნები და მოთხოვნები დგას, რაც უდიდესი სიამაყის გრძნობას და ამავე დროს უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებთ. და თუ ვინმეს ეჭვი შეგეპარებათ ამაში, თუ თქვენში მძლავრობს მარად ძველი და ახალი თემა, ძველის და ახლის, მამათა და შვილთა დაპირისპირების პრობლემა, თუ სინანულით აქნევთ თავს და ამბობთ, „ეს რა ახალგაზრდობა მოვიდაო“, მიდით ახლოს, ჩაიხედეთ მათ სულებში, მოეფერეთ, კარგები შეაქეთ, სუსტები შეათამამეთ და ნახავთ, რა ლაღი, რა ჯანსაღი ახალგაზრდობა გვყავს. ნახავთ და დარწმუნდებით, რომ ქართული ჯიში და გონი არ გადაშენდება, რომ მათ არ ავიწყდებათ „ვისი გორისანი არიან“.

დრო მიდის, თაობები იცვლებიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ყოველთვის, დღესაც ფართო ასპარეზს უქმნის ახალგაზრდობას თავისი დამსახურებული პროფესურითა და ღირსეული თავკაცით.

მასალა მოგვაწოდა
უნივერსიტეტის თანამშრომელმა
რუსუდან ნათენაძემ

ახალი შუასაუკუნეებისაკენ

ამ სათაურით „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (10.2.99) დაიბეჭდა ინტერვიუ მასაჩუზეტის შტატის (ბოსტონი) ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორის ლესტერ კ. ტუროვთან.

ტუროვი ბევრი შრომის ავტორია, მათ შორის ბოლო – „კაპიტალიზმის მომავალი“ – ბესტსელერი გახდა ამერიკასა და ევროპაშიც.

ჩვენი ყურადღება, უწინარესად, სათაურმა მიიქცია, ცნებას „ახალი შუასაუკუნეები“ ხშირად შეეხვედრივართ თანამედროვე ფილოსოფოსებთან, განსაკუთრებით იმათთან, ვინც მწარედ განიცადა ახალი დროის კრიზისი და ეძებდა გამოსავალს. გერმანელი ფილოსოფოსის არტურ ბიუბშერის წიგნში: „ჩვენი დროის მოაზროვნეები“ (მაქს შელერი, ოსვალდ შპენგლერი, შემდეგ – ბერდიაევი, ორტეგა, ტოინბი და სხვ.) ბევრი მწარე და შიშის მომგვრელი მოსაზრებაა გამოთქმული. „ადამიანის ღირებულება ეცემა – ჩივიან ისინი, – ტექნიკური პროგრესი, ვლინდება, როგორც ნამდვილი ნიჰილისტური ძალა. თანამედროვეობა მარადიულობის დაღს ასვამს სიღატაკეს, გაჭირვებას, ბიწიერებას, პროსტიტუციას, თაღლითობას, უტიფრობას, ძალადობას, გაუპატიურებას, სისხლის აღრევას, რელიგიურ ფანატიზმს, სადიზმს, მკვლელობას, თვითმკვლელობას და ა.შ. ა.შ.“.

როგორც ვთქვით, შეძრწუნების ამ კონტექსტში ხშირად გაისმის ცნება „ახალი შუასაუკუნეები“ (მარიტენი, ჟილსონი, გვარდინი, დოუსონი, ციგლერი, გუნციგი, ბერდიაევი), როგორც ხსნა ევროპის კულტურისა. ბერდიაევმა შრომაც გამოაქვეყნა სათაურით, „ახალი შუასაუკუნეები“ (1924). ჰიუბშერი ამ ნაშრომის პერეფრაზირებას მიმართავს: „ძველი სამყარო ინგრევა, მაგრამ დგება ჟამი ქრისტიანობის აღორძინებისა – ახალი, ცხოველმყოფელი და შემოქმედებითი ქრისტიანობის აღორძინებისა, სულიწმიდის მეფობისა. ხელახლა დაიბადა ხატი ახალი შუასაუკუნეებისა, თანამედროვეობაში მსჯავრდებული შუასაუკუნეების ისტორიული ხატი შეიცვალა. ბევრს მიაჩნია, რომ მკვდრეთით აღმდგარი შუასაუკუნეების წესრიგი, აზრი, წყობა და ზომიერება დიადი ნიმუშის მიხედვით მოაწესრიგებს ჩვენს ანარქიულ მისწრაფებებს და ყოფიერებას. შუასაუკუნეები წარმოგვიდგება, როგორც მსახურების, თვითშეზღუდვის და ნებაყოფლობითი ასკეტიზმის ეპოქა“. ამავე შეხედულებისაა ინგლისელი ფილოსოფოსი დიუსონიც, რომელიც აღიარებს, რომ წარსულსა და ახალ დროს შორის ღრმა განხეთქილებაა, რომ შუასაუკუნეებს, მიუხედავად საკმაო სიბნელისა და სისასტიკისა, რწმენა აერთიანებდა, ხოლო ახლამა სამყარომ განიცადა თავისი კულტურისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაშლა და აქამდე ვერ გაუცნობიერებია ზარალი“. ფრანგმა ფილოსოფოსმა ეტიენ ჟილსონმა 1946 წელს, როცა ის „უკვდავთა“ წრეში მიიღეს, თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ კვლავ მივაღწევთ უკვდავი შუასაუკუნეების სიმაღლეს, როცა ისეთ იტალიელს, როგორიც თომა აქვინელია, კვლავ შეეძლება კელნსა და პარიზში ისწავლოს, როცა ისეთი გერმანელი, როგორიც ალბერტ დიდია, გასაგები გახდება ფრანგებისათვის, ხოლო ისეთ ინგლისელს, როგორიც დუნს სკოტია, კელნში დაალამბს თავის სიცოცხლეს კვლევა-ძიებით გართული, როცა ფრანგ გენიას, მგავსად დეკარტესი, შეეძლება სტოკჰოლმში ისწავლოს, ხოლო გერმანელ გენიას, მსგავსად ლეიბნიცისა, შეეძლება უცდომლად წერა კეთილშობილ ფრანგულ ენაზე, მხოლოდ მაშინ მოგვეცემა უფლება, ვილაპარაკოთ ევროპის კულტურაზე“.

ეტიენ ჟილსონი, და ზემოთ ნახსენები სხვა მოაზროვნეებიც, კარგა ხანია ცოცხლები არ არიან, მაგრამ, რაც მთავარია, მათი სურვილი და წინასწარმეტყველება ახდა: შეიქმნა ერთიანი ევროპული სახლი! მაგრამ, როგორც ჩანს, წინაალმდეგობები არ წაშლილა. და საშიშროება კვლავ რჩება. ამაზე მეტყველებს წინამდებარე ინტერვიუს ავტორის ტუროვის დასკვნებიც. თუმცა ცნებას „ახალი შუასაუკუნეები“ ის სრულიად საწინააღმდეგო შინაარს აძლევს. სხვათა შორის, სკეპტიციზმი კაპიტალიზმის მიმართ, ძველი თემაა. ვკითხულობდით ინტერვიუს ტუროვთან და ჩვენს ცნობიერებაში კვლავ ტივტივებდნენ თითქმის მივიწყებული სახელები დარვინისა, სპენსერისა, მალთუსისა. ჩვენ ხომ ამათ სკოლაში ცალმხრივად გვასწავლიდნენ, მაგრამ უკვე არ გვიკვირს დღევანდელი კაპიტალიზმის წიაღში შობილი აზრები:

„Тесно человеку на земле. Рость народонаселения и рость потребностей приковали человека к экономике. Живое существо чувствует себя рабом необходимости, механизма“.

და დღევანდელი მოაზროვნეებიც კვლავ გამოსავლის ძიებაში არიან. ახლა მივუბრუნდეთ ინტერვიუს ტუროვთან, რომლის სათაურია: „ახალი შუასაუკუნეებისკენ?“

კითხვა: – წიგნში, „კაპიტალიზმის მომავალი“, გვაფრთხილებთ, რომ ინდივიდუალიზმის აღვირახსნილობამ შეიძლება საზოგადოების დეზორგანიზაცია გამოიწვიოს და ქვეყნიერება ახალ შუასაუკუნეებში გადაჩეხოს...

ლესტერ კ. ტუროვი: – კატასტროფა არ მიგულისხმია. არ ვიზიარებ ჯორჯი სოროსის მოსაზრებას, რომ თითქოს გიგანტური ფინანსური კრახი მოხდება და მსოფლიო წესრიგი მოიშლება. საყოველთაო კატასტროფის შიში არ უნდა გვქონდეს, ამის საპირისპიროდ ბევრი დამცველი მექანიზმი არსებობს. კატასტროფის ფატალურობას არ ვამტკიცებ, მაგრამ ვამბობ: საფრთხე არსებობს!



– ეს გარდუვალობაა თუ ალბათობა?

ლესტერ კ. ტუროვი: – ეს უფრო მეტია, ვიდრე ალბათობა. უკვე თავქვე ვეშვებით. დასავლეთ ევროპაში ოცი წელიწადია, რაც უმუშევრობა განუწყვეტლივ იზრდება. საბოლოოდ, 14 პროცენტს მიაღწია. შეერთებულ შტატებში, საუკუნის დასასრულს, შემოსავლის შემცირება შეინიშნება. და ისიც მოსახლეობის ღარიბ ფენებში. შემცირება ნელ-ნელა ხდება, მაგრამ პროცესი შეუქცევადია. მიუხედავად ამერიკელების მრავალი ღონისძიებისა, ბოლო 25 წლის მანძილზე მოსახლეობის ორი მესამედის გამომუშავება ოცი პროცენტით დაბალია. ეს რომ ერთბაშად მომხდარიყო, ვთქვათ, ერთ საათში, რევოლუცია გარდაუვალი იქნებოდა. მაგრამ წლების მანძილზე ადამიანი ამას ეგუება, თუ დროდადრო ხელფასი ემატებოდა, ამასაც ინფლაცია ნთქავდა. ამერიკელთა ოჯახებიდან, შემცირებული შემოსავლის საკომპენსაციოდ, ხშირად ქალები მიდიან სამუშაოდ. მაგრამ სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა თითქმის ამოწურულია. ხოლო შემოსავლის დაცემას ბოლო არ უჩანს. ეს მარტო შეერთებულ შტატებს არ ეხება, ყველა განვითარებული ქვეყანა მაგ დღეშია.

– მაინც რატომ ვლაპარაკობთ, თუ მეცნიერებისა და ტექნიკის წყალობით შრომის ნაყოფიერება იზრდება?

ლესტერ კ. ტუროვი: – ლატაკდება უმრავლესობა, ყველა კი არა. აი, უკვე რამდენი წელია, მდიდარი ოცი პროცენტის ავლა-დიდება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეს ოდესმე მომხდარა. მდიდრები მდიდრდებიან, დანარჩენები ლატაკდებიან.

– რატომ ხდება ასე?

ლესტერ კ. ტუროვი: – ესეც გლობალიზაციის შედეგია. არაკვალიფიციურ ამერიკელს, გერმანელს, თუ პოლონელს, არაკვალიფიციური ჩინელი ავიწროებს. არაკვალიფიციური ჩინელი მზად არის თვეში 35 დოლარად იმუშაოს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკელის, გერმანელის, თუ პოლონელის ხელფასიც ამ დონეზე დაიწევს.

– მაშასადამე, დადგა დრო, რომ ეკონომიკაში შექმნილმა მდგომარეობამ მდიდარი ჩრდილოეთი აიძულოს, ლუკმა გაუყოს ღარიბ სამხრეთს?

ლესტერ კ. ტუროვი – ჩემი აზრით, ერების დაყოფა „მდიდრებად“ და „ღარიბებად“ ანაქრონიზმად იქცა. ახლა წინა პლანზეა ადამიანთა დაყოფა მცოდნეებად და უცოდინრებად. დღეს მცოდნეს, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია ბევრი ფულის კეთება. მე, მაგალითად, ჩინეთში მრჩევლად მიმიწვიეს და კარგ გასამრჯელოსაც მაძლევენ, მაგრამ ბევრ ჩემს თანატოლს, რომელსაც ავტომანქანის კონვეიერთან უწევს დგომა, უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ მისი ხელფასი ნელ-ნელა უბრალო მალაიზიელის და ინდონეზიელის ხელფასს უთანაბრდება.

– ვთქვათ, ამერიკელები ცოტა ნაკლებს გამოიმუშავებენ, ჩინელები – ცოტა მეტს, მაგრამ რა შუაშია აქ ახალი შუასაუკუნეები?

ლესტერ კ. ტუროვი: – კონსერვატორებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკაში პრაგმატიზმის დანერგვა დაიწყეს, მემარცხენეები კი მხოლოდ გაცვეთილ სქემებს უტრიალებდნენ. დღეს მემარცხენეებმა მთლად დაკარგეს თავისი ისტორიული დანიშნულების შენება: კაპიტალიზმს მათი მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

– კი მაგრამ, დემოკრატიული ხელისუფლება? ნუთუ ის უმრავლესობის ინტერესს არ იცავს?

ლესტერ კ. ტუროვი: – ყველაფერი მეტად შემპარაკად, ნელ-ნელა ხდება, რასაც ეფექტი არ მოაქვს. ხოლო პასიური უკმაყოფილება, თუნდაც უმრავლესობის მხრიდან, დემოკრატიის პირობებში, საკმარისი არ არის ცვლილების მოსახდენად. დემოკრატია ის სისტემა არ არის, სადაც გადაწყვეტილებას მოქალაქეთა 51 პროცენტის ხმით იღებენ; დემოკრატია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უჭირს ცვლილების მოსახდენად ისეთი მოღვაწეთა პოვნა, რომელსაც ობიეატელთა 80 პროცენტი არ უჭერს მხარს. დემოკრატიის პირობებში შეფერხება უფრო იოლია, ვიდრე ინიციატივის მხარდაჭერა. დიდ საზოგადოებრივ სისტემებში, რომელიც დამძიმებულია უთვალავი ფორმალური და სხვა ურთიერთობებით, დღეს დეგრადაცია უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამიტომაც რადიკალური ზემოქმედება გამორიცხულია.

– რა მოუვა პროგრესს, მეცნიერებას და ტექნიკას, რასაც თანამედროვე საზოგადოება თავის მიღწევებს უმადლის?

ლესტერ კ. ტუროვი: – ის მოუვა, რაც შუასაუკუნეებში მოუვიდა. რომის იმპერიის დაცემიდან 900 წლის მანძილზე, ევროპის ცენტრში ცხოვრების დონე, რომ არაფერი ვთქვათ მის ხარისხზე, 90 პროცენტით დაქვეითდა, მიუხედავად, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა... შუასაუკუნეების ევროპის უმდიდრესი ქალაქების მოსახლეობამ ძლივს შეინარჩუნა საშუალო რომაელის ცხოვრების დონის ათი პროცენტი. XVIII საუკუნის შუა წლებში ლონდონი ის პირველი ევროპული ქალაქია, რომელმაც ანტიკური რომის ცხოვრების დონეს მიაღწია. რომაული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები არავის დაუკნინებია.

– მაშ, რა მოხდა?

ლესტერ კ. ტუროვი: – მოკლედ ასეა: კეისრების ხელისუფლებას თანდათან ძალა ეკარგებოდა, ზეგებისა და აკვედუკების, განათლებისა და არმიის ფინანსირება შეწყვიტეს. შეიცვალა ღირებულებათა იერარქია. საზოგადოებრივი ინტერესები, კერძო ინტერესების ძალდატანებით, იფატებოდა და ეცემოდა. დანარჩენი მხოლოდ დროის საკითხი აღმოჩნდა: ცივილიზაციის რეგრესი, დეზინტეგრაცია, შინაშლილობა, ურთიერთობათა მოშლა და ინფრასტრუქტურების დაცემა!.. დღეს პროფკავშირები ნელ-ნელა კვდებიან, მათ უნარი არ შესწევთ მოვლენები უკან დააბრუნონ. შტატებში ადრე პროფკავშირები წარმოებაში დასაქმებულთა ორმოც პროცენტს წარმოადგენდა, ახლა 25-ს ძლივს აღწევს. ჯერ კიდევ არსებობენ დიდ ქარხნებში, მაგრამ აქაც საგრძნობლად შემცირდა მუშათა რიცხვი. ხოლო ზოგ ფირმაში პროფკავშირის ერთი წევრიც არ არის. იგივე ბედი ეწევა ევროპასაც. არ ვამბობ, ქვეყნიერება განწირულია-მეთქი, საფრთხის აცილება შეიძლება, მაგრამ ამისთვის რაღაც უნდა ვიღონოო.

– მაინც რა?

ლესტერ კ. ტუროვი: – დემოკრატიული ხელისუფლების ურთულესი პრობლემაა, ადამიანების დარწმუნება გარდაქმნების აუცილებლობაში, ევროპაში, ჯერჯერობით, კრიზისს არ განიცდიან, თუმცა ამაზე ბევრს ლაპარაკობენ. თითქოს არ ჩანს გარდაქმნათა აუცილებლობა – პირადი მოთხოვნილებათა შეზღუდვის აუცილებლობა. ადამიანს სიამოვნებს იმის რწმენა, რომ მომავალ წელს ცხოვრება ყოველგვარი მსხვერპლის გაუღებლად გაუმჯობესდება. ამიტომაც პოლიტიკოსები ადამიანებს ვერ არწმუნებენ, გარდაქმნათა აუცილებლობაში, გინდაც. რომ დაარწმუნონ, ყოველთვის გამოჩნდება ჯგუფი, რომელსაც ძალუძს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერი ცვლილების გატარებას.

– მაინც რა ცვლილებაზეა ლაპარაკი?

ლესტერ კ. ტუროვი: – იმ ცვლილებაზე, რომელიც მომავალში კაპიტალის დაბანდებას შეუწყობს ხელს. მთავარია, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურების შექმნა, უპირველეს ყოვლისა – საყოველთაო განათლებისა. როგორმე უნდა შემცირდეს მცირე განათლების მქონეთა რიცხვი, ვინაიდან დღეს სამდიდრის შექმნა მხოლოდ შემოქმედებითი მიდგომით არის შესაძლებელი. თუ შემოქმედებით ნახტომს ვერ გავაკეთებთ, საშინელი უმუშევრობის მოწმენი გავხდებით. გაუნათლებელ, უცოდინარ, არაკვალიფიცირებულ ადამიანს, ე.ი. იმას, ვისაც შემოქმედებითი შრომის უნარი არ გაჩენია, ავიწროებს უფრო იაფი და ზუსტი მანქანები.

– შემოქმედებითი ნიჭის ადამიანებსაც, რომ არ ჰყოფნით სამუშაო?

ლესტერ კ. ტუროვი: – არა, მათი დასაქმება არ ჭირს. მექანიკურ შეცვლას მხოლოდ მარტივი შრომა ექვემდებარება. ამ ბოლო დროს, დასავლეთში საყოველთაო განათლების ხარჯებს ამცირებენ. ისეთი აზრია გავრცელებული, თითქოს განათლების მიღება თითოეულის კერძო საქმეა და მოგებასაც თვითონ ნახავენო. მცდარი აზრია! განათლების სფეროში ეფექტს სწორედ საზოგადოებრივი დაბანდება იძლევა. კერძო ხარჯები კი გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. დასავლეთის დემოკრატიამ არა მარტო განათლების ინვესტიციები შეწყვიტა, მსხვილი პროექტების დაფინანსებაც შეამცირა, ვინაიდან დარწმუნებული არიან, რომ კერძო კაპიტალი ამ სფეროშიც უფრო ეფექტურია. მაგრამ ინვესტორებს, მსხვილი კომპანიების აქციონერებს, მაინცდამაინც არ უყვართ რისკის გაწევა და კაპიტალის გრძელვადიან პროექტებში გადასროლა, მაშინაც კი, როცა ასეთი პროექტები საკმაოდ მაღალი შემოსავლის შესაძლებლობას აძლევთ. ძნელად თუ ვინმეს აცდუნებს მოგება, რასაც 25 წელიწადი უნდა ელოდოს, მაგრამ გამიცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ ასეთი ინვესტიციები უზრუნველყოფენ სტაბილურ და საყოველთაო კეთილდღეობას... საუკეთესო მეცნიერები დღეს მეცნიერების საუკეთესო ცენტრებში ეძებენ ადგილს. სხვები კი სულს ღაფავენ. სამყაროში, რომელიც შეექმენით – გლობალიზაციის, მასობრივი კულტურის, საერთო-საყოველთაო ინტეგრაციის სამყაროში, – ყველა სიკეთეს გამარჯვებული იმყის, იმ ასტრონომიული ჰონორარის გამო, რასაც მას აძლევენ. საშუალო დონის მუშაკთა უმრავლესობა ნაკლებს იღებს და ამასთანავე ეს უმრავლესობა, ახალი კლასის, არაფრის მფეთებელთა კლასის, დაწოლის ქვეშ ექცევა, კლასის, რომელსაც რევოლუციის გაჩაღების უნარი გააჩნია.

– ვინ არიან ესენი?

ლესტერ კ. ტუროვი: – პენსიონერები, მილიონობით ადამიანი, შრომისუნარიანი, რომელიც სარგებლობს დაწესებული პრივილეგიებით. რაც მთავარია, მათი მატერიალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის ხარჯები მეტწილად სახელმწიფოს აწევა. ამ არაპროდუქტულ, რიცხობრივად მზარდ და, ამასთანავე, დიდი პოლიტიკური ზემოქმედების მქონე ადამიანებს, ძალუძთ შთანთქან იმ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც მომავალი ინვესტიციებისთვის არის საჭირო.

– სამოცი წლისა ბრძანდებით. გახდებოდით რევოლუციონერი?

ლესტერ კ. ტუროვი: – თანამედროვე რევოლუციაზე ლაპარაკი 2012 წელს დაიწყება, რომ პენსიაზე ექცეოდნენ [illegible] ეს ტალღა გაცილებით [illegible] იქნება. მათი საპენსიო უზრუნველყოფა გაცილებით მცირერიცხოვან თაობას დაეწყება. იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომელთაც ხანდაზმულთა მეტი რიცხვი ჰყავთ, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია, ნაკლებად კონკურენტუნარიანი იქნება.

– წარმომიდგენია, რა მოხდება, სახელმწიფომ რომ უარი თქვას განათლების, ჯარისა და თავდაცვის ხარჯებზე, ტექნიკური ინფრასტრუქტურის ხარჯებზე?!

ლესტერ კ. ტუროვი: – რაც უფრო „ხნიერია“ საზოგადოება, მით უფრო უხალისოდ ეკიდება ინვესტიციებს. დასავლეთის სახელმწიფოთა ხნიერება აშკარაა. დღევანდელი ამერიკის პენსიონერები განათლების, მეცნიერების, ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ აძლევენ ხმას. ეს აქტიურ ამომრჩეველთა თითქმის მესამედია. და ვიდრე ახალგაზრდობა არჩევნებისადმი გულგრილია, პოლიტიკოსისათვის პენსიონერის ხმა ძვირფასია, ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ განათლების ხარჯები დღითი დღე მცირდება. განათლების დაცემა კი, მსგავსად შუასაუკუნეებისა, უფსკრულს გააღრმავებს მდიდრების ელიტარულ ნაწილსა, ე.ი. განათლებულთა, და უმრავლესობას შორის, რომელიც თანდათან გაუნათლებლობის ჭაობში ეფლობა.

– პარადოქსია! ნუთუ საფრთხე ახლა იჩენს თავს, როცა კაპიტალიზმის ქუჩებში დღესასწაულია, ტექნიკური რევოლუციის ნაყოფს იმკიან, თავი დააღწიეს პოტენციურ მოწინააღმდეგეებს, და პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოს განაგებენ...

ლესტერ კ. ტუროვი: – დემოკრატიული კაპიტალიზმი თავის თავში, როგორც მინიმუმი, ორ დიდ წინააღმდეგობას ატარებს. პირველი წინააღმდეგობა – კონფლიქტი დემოკრატიასა, რომელიც ქადაგებს თანასწორობას, და ბაზარს შორის, რომელიც განუწყვეტლივ უთანასწორობას „გამოიმუშავებს“. კაპიტალიზმს დემოკრატიასა და ბაზარს შორის წონასწორობა სჭირდება. წინათ მთავრობა ზრუნავდა ამაზე. მაგრამ გლობალიზაციისა და ინდივიდუალიზმის ტრიუმფმა ძირი გამოუთხარა მის მცდელობას. კეთილდღეობის საზოგადოება, სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ინტერესების სახელმწიფო, სულს ღაფავს. მეორე წინააღმდეგობაა – წინააღმდეგობა მოხმარებასა და ინვესტირებას შორის. ერთი და იგივე საშუალება არ შეიძლება კიდეკაც მოიხმარო და კიდეკაც ინვესტიციისთვის გაიღო. მაგრამ დღესდღეობით არავის წაუიუყენებია წინადადება, მომხმარებელთა ნდობის პირობებში, როგორ დაკარწმუნოთ მომხმარებელი ინვესტიციების აუცილებლობაში...

– მაშასადამე, რაც ხდება, გარდაუვალია?

ლესტერ კ. ტუროვი: – გარკვეული თვალსაზრისით, გარდაუვალია!

საჭიროა რაიმე ძლიერი იდეა, გამოწვევა, პერსპექტივა, საზოგადოების ერთიანი მისწრაფება. ცივილიზაციის კრიზისი ითხოვს ლიდერებს, რომლებიც უშიშრად დაუპირისპირდებიან ეგოიზმს. საჭიროა სიმამაცე რეიგანისა, რომელმაც არაფერი დაუთმო ავიაციის დისპეტჩერებს, უსაფუძვლოდ რომ მოითხოვდნენ მაღალ ხელფასებს. ან სიმამაცე მარგარეტ ტეტჩერისა, რომელმაც ბრიტანელი მეშახტეები დუელში გამოიწვია. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელი ლიდერები ჰგვანან იმათ, ვინც მათ ირჩევს. ისინი, როგორც ჩვენ, საზოგადოების მძევლები არიან.

– საკვირველია! თქვენ, ვინც ამას წინათ კლინტონის მრჩეველი იყავით, მემარჯვენე კონსერვატორთა წრეში ეძებთ გმირებს...

ლესტერ კ. ტუროვი: – მეც მაშფოთებს ეს ამბავი. საქმე ის არის, რომ მემარცხენეებმა ყველგან, მთელ მსოფლიოში, დაკარგეს იმის რწმენა, რომ რაიმე ცვლილების მოხდენა შეუძლიათ. კონსერვატორები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ როგორმე მემარცხენეთა დაწოლა შეეჩერებინათ. წინააღმდეგობას უწევდნენ ცვლილებებს. მემარცხენეები კი, როცა ხელისუფლებაში მოხვდებოდნენ, ცდილობდნენ, რაღაც მაინც დაეძრათ ადგილიდან. მაგრამ ამ ოცი წლის წინ როლები შეიცვალა. მემარჯვენეები პრივატიზირებას ახდენენ, ზღუდავენ სახელმწიფოს როლს, ნერგავენ ინდივიდუალიზმსა და თავისუფალი ბაზრის კულტს. მემარცხენეები კი, მაშინაც, როცა ხელისუფლებაში არიან, ამის ხელის შეშლას ძლივსღა ახერხებენ. მათი პროგრამები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. მემარჯვენეები ფიქრობენ, რომ ბაზარი თავი სთავად მოაწესრიგებს ყოველივეს. მემარცხენეებს ასეთი „უნივერსალური გასაღები“ ჯერ ვერ მოუძებნიათ. გლობალიზაციას, თავისუფალ ბაზარს და ინდივიდუალიზმს დღესდღეობით ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავს“.

პუბლიკაცია და კომენტარები
რევაზ კვესელავასი

ცხოვრების გაკვეთილები

(ჩვენი რედკოლეგიის წევრმა, პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ ამჟამად მუშაობა დაამთავრა ავტობიოგრაფიულ ნარკვევზე „ვაპირებ ცხოვრებას“. ეს ნაწარმოები მთლიანად დაიბეჭდება 2000 წლის ჟურნალ „ციხკრის“ პირველ ნომრებში. ვაქვეყნებთ ერთ ნაწყვეტს ამ ნარკვევიდან.)

...იმ უმაღლეს სასწავლებელში, „ცხოვრება“ რომ ჰქვია, ჩემი მშობლების, ნათესავებისა და მეგობრების გარდა, სხვა მასწავლებლებიც მყავდა და ზოგი მათგანი მინდა გავიხსენო...

ჩარგალში ვიყავი, ვაჟა-ფშაველას იუბილეზე.

საზეიმო მიტინგი გვიან დამთავრდა. ბაქანზე კარგად მოვილხინე, გვარიანადაც დავთვერი და როცა ჩემი მანქანაანი მასპინძლები მიმოიფანტნენ, „ადგილობრივ მოსახლეობასთან“ ერთად შარას გავყევი, იმ იმედით, რომ გათენებამდე ვისეირნებდი (დამთბილი იყო), დილით კი რომელიმე ავტობუსით თბილისში დავბრუნდებოდი.

თიანეთში არავის ვიცნობდი. ნასვამ კაცს, მოგეხსენებათ, ლაპარაკის საღერღელი აუშლება, ამიტომ შარაზე გამოფენილი ხალხის ხან ერთ ჯგუფს მივუმასპინძოდი, ხან მეორეს, თან გაფაცაცებით ვუსმენდი მათ, ყველაფერი მაინტერესებდა...

ერთ ჯგუფში, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა მოხუცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ტანდაბალი კაცი იყო, მაგრამ იმ სიგრძე ხანჯალი და ხმალი ეკიდა, ისე ამაყად მიალაჯებდა ახალგაზრდებს შორის, თან ისე მოსწრებულად „კაფიობდა“, დავინტერესდი, ჩამოვეწიე და გვერდში ამოვუდექი. არ ვიცოდი, რით დამეწყო საუბარი და პირველევე, რაც თავში მომივიდა, მივახალე: „რა ლამაზი გოგოებია-მეთქი, ამ თქვენს თიანეთში!..“ მოხუცი შეჩერდა, ამომხედა და მშვიდად შემეკითხა: შენ დედამკვდარი ხომ არ ხარ, შვილო? მე გავშტერდი: საიდან იცი-მეთქი? სწორედ იმ წელიწადს დედა დავაასაფლავე). „ეგრე რომ თქვი გოგოებზე, იმიტომ გკითხე. ვინა ხარ და სადაური?“ ჩავბღაუჭე იმ ბერიკაცს და აღარ მოვეშვი. ვუთხარი, ვინც ვიყავი, საიდან და რისთვის ჩამოვედი, ლამის მთელი ჩემი ბიოგრაფია მოვუყევი და როგორც შეეატყე, სიმპატია თუ არა, მისი ყურადღება მაინც დავიმსახურე. ყოველ შემთხვევაში, მოხუცმა თავის სახლში მიმიპატიჟა... ღარიბულად ცხოვრობდნენ ისა და მისი დედაბერი: რიყის ქვით ნაგები შენობის კედლები ალაგ-ალაგ დაბზარული იყო, კრამიტებჩაცვენილი სახურავიც შეკეთებას მოითხოვდა, ოთახშიც სინესტის სუნი იდგა. მაგრამ გულუხვად გამიმასპინძლდნენ: ერბოკვერცხი შემიწვეს, ჟიპიტაურიც დამალევინეს და ბოლოს, ჩემი თხოვნით, ლოგინი აივანზე გამიშალეს...

დილით ადრე, მასპინძელი, დოქით ხელში თავზე დამადგა: მოდი, პირი დაიბანეო. მერე ჯიბიდან ავტობუსის ბილეთი ამოიღო: თბილისის მანქანა ერთ საათში გადის, ვისაუზმოთ და გაგაცილებო. თან ისიც მკითხა: ჩემი სტუმარი ბრძანდები და კიდევ რით გასამოვნოო? სროლა მინდა-მეთქი. „რას უნდა ესროლო, შვილო?“ – გაუკვირდა გლეხს. „ნიშანში ვისვრი!“ მოხუცს გაეღიმა, ძველი ჩაჟანგებული სანადირო თოფი გამოიტანა და გამასროლინა. მერე სუფრას მივუსხედით. ისევ გადავკარი ჟიპიტაური, წუხანდელ ხასიათზე დავდექი და ავჭიკჭიკდი... ამ დროს, კედელზე დაკიდებულ ხანჯალს მოვკარი თვალი. შეიძლება ვნახო-მეთქი? ნახეო. ჩამოხსნი იარაღი და მოვერცხლილი ქარქაშიდან ხანჯალი რომ ამოვიღე, იქაურობა თითქოს განათდა – ისეთი ლაპლაპი გაუდიოდა ხუთღარიან, ძველებურ ფოლადს! არც დავფიქრებულვარ, იმ წუთასვე ვაჯახე მასპინძელს: ეს ხანჯალი მაჩუქე-მეთქი! მოხუცს სახეზე ჩრდილმა გადაუარა, ერთხანს ჩუმად იყო, ჭიქას ხელში ატრიალებდა, მერე მითხრა: „ნეტა ეგ სიტყვა არ გეთქვა, ბიჭო, და რაც გინდა გაგეკეთებინა... შე დალოცვილო, გუშინდელს აქეთია აქ ხარ, ჩემთან გეძინა, ერთად პური ეჭამეთ, რაზე არ ვილაპარაკეთ მე და შენ და ჩემი სახელი ერთხელაც არ გიკითხავს! ახლა კიდევ ამ მამაპაპურ ხანჯალსა მთხოვ? იცოდე, შვილო, ეგ ხანჯალი შენია, რაკი მთხოვე, მაგრამ წუხანდელივით ქუჩაში კი არ გამომეცნაურო, ჩემთან ჩამოდი, მესტუმრე და წაიღე! ჩემს მისამართს ყველა მოგასწავლის, აქ პაპა ნიკოს მეძახიან!“

რა თქმა უნდა, თიანეთში აღარ ჩავსულვარ და ის „ჩემი ხანჯალი“, ალბათ დღესაც, პაპა ნიკოს სტუმართმოყვარე ქოხში ჰკიდია.

***

ერთი მეტად მნიშვნელოვანი „ცხოვრების გაკვეთილი“, უნივერსიტეტის პროფესორმა, ბატონმა გრიგოლ კიკნაძემაც ჩამიტარა. მე მაშინ ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, პირველ კურსზე, ბატონი გრიგოლი კი ლექციებს ფილოლოგებს უკითხავდა, რომელთა შორის არა ერთი და ორი თაყვანისმცემელი მყავდა. ძალიან მოსწონდათ (განსაკუთრებით, ქალიშვილებს!) ჩემი ლირიკული ლექსები და ხშირად მკითხებდნენ ხოლმე უნივერსიტეტის ეზოში თუ დერეფანში...

ჩარგალი: ვაჟა ფშაველას 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი კომიტეტი

ბატონ გრიგოლს თავის სტუდენტებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ისინი მას არა მარტო აუდიტორიაში ხვდებოდნენ, მის ოჯახშიც დადიოდნენ და ერთხელ მეც წამიყვანეს. მანამდე კი, ყური გამოუჭედეს პროფესორს ჩემი ქება-დიდებით: ძალიან განათლებული ყმაწვილიაო, „გენიალურ“ ლექსებს წერსო, თანაც ხატავსო, თავისი ლექსები ზეპირად იცისო... მოკლედ, იმდენი რამ უთხრეს, გრიგოლი დაინტერესდა ჩემი „ფენომენით“ და თვითონვე თხოვა სტუდენტებს, ის ბიჭი მომიყვანეთო...

სინამდვილეში კი, რას წარმოვადგენდი? ჩემი ტოლებისგან მარილა გამოვირჩეოდი განათლებით: ბევრს ვკითხულობდი ქართულად და რუსულადაც, უნივერსიტეტში პირველსავე კურსზე „სტალინურ სტიპენდიაზე“ წარმადგინეს, რაც შეეხება ჩემს პოეტობას... თბილისში ერთი ლამაზმანი არ მეგულებოდა, რომ მასზე ლექსი არ დამეწერა! პოეზიის მთავარ დანიშნულებად ქალის ფიზიკური ღირსებების, მისი მშვენების აღწერა მიმაჩნდა და ამის გარდა, ქვეყანაზე არაფერი მაინტერესებდა! ვუმღერდი „ჭროღა თუთისფერ თვალებს“, „რიყის ქვებივით მკვრივ, ამობურცულ ძუძუებს“, „აივნის რიკულებივით ჩამოქნილ წვივებს“ და მთელ ქართულ პოეზიაში, ვაჟა-ფშაველასი და ჩემი უფროსი მეგობრის, სიმონ ჩიქოვანის სტრიქონები მომწონდა: „საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“ და „ქალი გზიდან აივნისაკენ მუხამბაზივით წაიღებს თეძოს“!

ერთი სიტყვით, „სექსუალური ზრუნვით“ შეპყრობილი ყმაწვილი გახლდით, არც მეტი, არც ნაკლები! ასეთი იყო მაშინ ჩემი პოეტური „კრედო“ და ჩემს მსმენელებსაც სწორედ ამგვარი სატრფიალო ლექსები მოსწონდათ. თითქმის ყოველ საღამოს, ახალგაზრდები ოპერის თეატრში ვიკრიბებოდით, სითბოში, სინათლეში და მე მგონი, იმ შენობაში არც ერთი კუნჭული არ დარჩენილა, სადაც თქვენს მონა-მორჩილს ლექსები არ წაეკითხოს! (მადლობა ღმერთს, რომ იმ ბიჭებსა და გოგოებს ჩემი უმწიფარი ნაცოდვილარი მოსწონდათ, რადგან ეს მამხნევებდა და მაგულისებდა, რომ მეწერა, მეწერა, მეწერა და ბოლოს, როგორც ნათქვამია, მწერალი თუ ვერ გავხდებოდი, „წერას მაინც ვისწავლიდი“!).

ბატონმა გრიგოლმა ცალკე ოთახში გამიყვანა და მითხრა: ჩემი სტუდენტები მეტისმეტად გაქებენ, წამიკითხე შენი ლექსებიო... ყველაფერი, რაც მახსოვდა, წავუკითხე. ყურადღებით მისმენდა, ჭკვიანი მზერა ჩემთვის არ მოუცილებია, ხოლო როცა ჩაცხრა ჩემს მიერ ოთახში ქარბუქივით დაყენებული „ჭროღა თვალების“, „მკვრივი ძუძუების“, მარწყვივით ტუჩების“ და „რიკულებივით ჩამოქნილი წვივების“ კორიანტელი, მითხრა: „ჩემო მიხეილ, შენ ლექსის წერა გემარჯვება, იქნებ მართლაც პოეტი გამოხვიდე, მაგრამ აბა, დაბელი. თურმე, იმ დროს, მართლა „მომხმარებლის“ თვალით ვუყურებდი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს და ჩემი გადაჭარბებული ინტერესი მათი ფიზიკური ღირსებებისადმი, სწორედ ამით იყო გამოწვეული... ასაკმა და გამოცდილებამ, „ლამაზი ქალის“ სახე ჩემში „საყვარელი არსების“ ხატით შეცვალა და განსხვავებული ლექსიც დამწერინა. თუნდაც ასეთი:

სულ მენატრები, მაშინაც კი, როცა ვართ ერთად
და ჩემს გარშემო და ჩემს გვერდით შენა ხარ მარტო,
მუდამ და ყველგან – ძილშიც, ცხადშიც უშენოდ, შენთან
სულ განუწყვეტლივ მენატრები და შენზე ვდარდობ!

ბატონ გრიგოლის გაკვეთილი რომ არა ოდესღაც „შიშველი მუხლებისა“ და „ძუძუს კერტების“ მადიდებელი პოეტი, არც ასეთ სტრიქონებს დაუწერდი საყვარელ არსებას:

საჩუქარი ხარ ბედისა? რა ხარ?
თუ სასჯელი ხარ მაცდური ბედის?
და შენ იმიტომ მოხვედი ახლა,
როცა თავდება ჩემი ცხოვრება,
რომ კიდევ უფრო გამწარდეს ჩემთვის
წუთისოფელთან გამოთხოვება?!

***

ქართული კინოსტუდია დაღესტანში ფილმს იღებდა. ფილმისთვის 13-14 წლის გოგონა დასჭირდათ და რეჟისორმა ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ნატო ამოირჩია. მაშინ ჩვენ მოსკოვში ვცხოვრობდით. ჩამოვიყვანე ნატო გუნიბის მახლობლად მდებარე აულ ჭოხში და მამა-შვილმა ერთ მარტოხელა დედაბერთან, ვინმე ქიფთინასთან დავიდეთ ბინა. თითქმის მთელი ზაფხული იქ გავატარეთ... საკვირველი ქალი იყო ქიფთინა – ოთარაანთ ქვრივის დაღესტნური განსახიერება! ოთხი ვაჟიშვილი ჰყოლია და ოთხივე სამამულო ომში დაეღუპა. ერთი შვილიშვილიღა დარჩენოდა, პატარა გოგო და იმას ზრდიდა. ვერ გაიგებდით, ვინ ვის უვლიდა: ბებია შვილიშვილს თუ პირიქით... ქიფთინა ადრე მასწავლებლობდა, დაწყებით კლასებში რუსულს ასწავლიდა, ახლა კი, პენსიაზე გასული, სახლიდან ფეხს არ იცვლიდა. მეზობლებთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თუ დალაპარაკებოდა ვინმეს, მარტო შვილიშვილსა და ზოგჯერ მეც, როცა ეს აუცილებელი იყო... ეგეთი ქალი გახლდათ ქიფთინა ზალოვა, ვისაც აულში ყველა იცნობდა და პატივს სცემდა (თუნდაც იმიტომ, რომ იქაური მოსახლეობის ნახევარზე მეტი „ზალოვის“ გვარს ატარებდა)...

ერთხელ, ჩვენს რეჟისორს ფილმისთვის დაღესტნური ჭედური ხელოვნების ნიმუშები დასჭირდა (როგორც ვიცით, დაღესტანი ამ მხრივ განთქმულია) და დაავალა თავის ასისტენტებს, შეეგროვებინათ აულში რაც კი მოიპოვებოდა: ვერცხლის სამაჯურები, ყელსაბამები, საყურეები, ქამრები, ჭურჭელი, აგრეთვე იარაღი – ხმლები, ხანჯლები და ა.შ. ყოველივე ამას ფილმში გადაიღებენ და პატრონს დაუბრუნებდნენ, თანაც ფულიც გადაუხდიდნენ... რეჟისორის წარგზავნილები ჩვენთანაც მოვიდნენ და ქიფთინამ (ჩემი შუამავლობის წყალობით) ვერცხლის პორსიგარი გაატანა... ძალიან ლამაზი და ორიგინალური ნაკეთობა იყო ის პორსიგარი. მე ვიტყოდი, მეთვრამეტე საუკუნის დაღესტნური საიუველირო ხელოვნების შედევრი – ასეთი რამ მხოლოდ მუზეუმებში მინახავს!...

რეჟისორმა, როგორც განათლებულმა კაცმა, სიძველის ფასი იცოდა და დაინახა თუ არა პორსიგარი, ქიფთინას შეუთვალა: ეს ნივთი მომყიდე და რამდენსაც გინდა, გადაგიხდიო. მეც იქ ვიყავი, როცა მისი სურვილი ქიფთინას გადასცეს. ქალმა გაიღიმა და მოკლედ უპასუხა: ეს ნივთი პაპაჩემის დანატოვარია და არ იყიდებაო... რეჟისორმა მეორედ და მესამედაც მიუგზავნა ხალხი. რაღას ასტრონომიულ თანხას პირდებოდა. მაგრამ ჩემი სახლის პატრონი სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: პორსიგარი სახსოვარია და ვერ გავყიდიო... მაშინ, გაგულისებულმა რეჟისორმა თავის თანამშრომლებს დაავალა ქიფთინასთვის გადაეცათ, თითქოს პორსიგარი დაიკარგა და კინოსტუდია მზად არის აუნაზღაუროს პატრონს მისი საფასური... იმავე საღამოს ქიფთინას ვურჩიე პორსიგარი შინ წამოეღო.

გავიდა ხანი. ფილმის გადაღება გაჭიანურდა, ჩემს შვილს სკოლაში აგვიანდებოდა, წუხდა და ბოლოს ავად გამიხდა: შუაღამისას ცხვირიდან სისხლი წასკდა. რა არ ვიღონე: შუბლზე ცივ ტილოსაც ვაფენდი, ნესტოებში ბამბის ტამპონებსაც ვჩრიდი, მაგრამ სისხლდენა ვერ იქნა და ვერ შევაჩერე! წვეთ-წვეთად კი არა, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა სისხლი და არ ვიცოდი, რა მექნა!.. ჩვენს აურზაურზე ქიფთინას გამოეღვიძა. ოთახში შემოვიდა, მაგრამ აბა, რას მიშველიდა? სოფელში ექიმი არ ჰყავდათ, მანქანაც არ იყო, არც ტელეფონი, რაიონული ცენტრიდან სასწრაფო რომ გამომეძახა... ერთადერთი, რაც შემეძლო, ჩემს შვილს ვეფერებოდი და მასთან ერთად ვტიროდი. ქიფთინა კი, ბუსავით, ტაბურეტზე წამომჯდარიყო და თავისი ჭკუით მამშვიდებდა: არაფერია, მიშა, იდინოს, ეგ ცუდი სისხლია, რაც მეტი გამოვა, უკეთესიაო... მოკლედ, ვიღუპებოდი! ამასობაში, უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა და სრულ სიბნელეში აღმოვჩნდით. მაგრამ მე მაინც მოვასწარი, სველი პირსახოცი (უკვე მერამდენედ!) ნესტოებში შევტენე ბავშვს, გულში ჩავიკარი და ... აღარ მახსოვს, მე მგონი, ვლოცულობდი. ასეა თუ ისეა, ღმერთი ვახსენე თუ არა, სისხლის დენა შეწყდა და ჩვენ ორივეს ჩაგვეძინა.

მეორე დღეს, დილიდანვე, ნაცნობ შოფერს შევუთანხმდი, ბარგი ჩავალაგე და გასამგზავრებლად მოვემზადე. გამომშვიდობება არავისთან არ მინდოდა, ფეხებზე მეკიდა ფილმიცა და მისი რეჟისორიც!

ამ სამზადისში რომ ვიყავი, ოთახში ქიფთინა შემოვიდა. რაღაც უცნაური, მისთვის შეუფერებელი, საზეიმო გამომეტყველება ეხატა სახეზე. სკამზე ჩამოჯდა და თქვა: „მიშა, შენ მგონი მოგეწონა პაპაჩემის პორსიგარი?“ სწორედ ამ დროს ჩემოდანს თასმებს ვუჭერდი, თან ნატოს ჭკუას ვარიგებდი, როგორ უნდა ჩაეცვა, რომ გზაში არ გაცივებულიყო, ამიტომ ანგარიშმიუცემლად ვუპასუხე: ძალიან ძვირფასი რამეა-მეთქი, გაუფრთხილდი. ეგეთ ნაკეთობას მუზეუმში თუ ნახავ! მაგ პორსიგარს, რომ იცოდე, ფასი არ აქვს, მილიონიც რომ მოგცენ, არ გაყიდო, შვილიშვილი გყავს და იმას დაუტოვებ!.. ქიფთინამ აიკეცა ქვედა კაბის კალთები, საიდანღაც ამოაძერინა პორსიგარი და გამომიწოდა: აიღე, მიშა... წუხელ, ჩემი თვალით ენახე, რანაირი მამა ყოფილხარ... გამომართვი, სახსოვრად გქონდეს...

მთავრობისგან ბევრი ჯილდო მიმიღია, მათ შორის, „ღირსების ორდენიც“, მაგრამ ასეთი ღირსეული საჩუქარი ჩემთვის არავის მოუცია!

მიხეილ ქვლივიძე

ლიტერატურული ალბომიდან

საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები. გადაღ. 1942 წ. 25.V.
სხედან: სწ. მდივანი აბზიანიძე გიორგი მთ. ბულ. კვალიაშვილი ნინა დირექტ. მწერალი ლეონიძე გიორგი მეცნ. მუშ. ცაიშვილი სოლომონი სეიფის მცველი ნათაძე გიორგი მეცნ. მუშ. ქავთარაძე თინათინი.
დგანან: მემანქ. ჩხეიძე ფაცია სასწ. ნაწ. გამგე ცქიტიშვილი ნოე მოღ. ინკას. ნეიმან გიორგი, მოზდოკელი გიორგი, მეცნ. მუშ. ოქროშიძე თამარი.

„დიდი მსაჯიოზის შეგრინება“

1909 წელს ქ.ბაქოში რკინიგზელი მემანქანის ალექსანდრე ზაქარიაძის ოჯახში დაიბადა პირველი ვაჟიშვილი პატარა სერგო.

როგორც ამბობენ, სერგო ზაქარიაძე პატარაობისას ყოფილა მეტად ცქვიტი, ლამაზი გატაცებების მიმდევარი ბიჭუნა, ბავშვობიდან თეატრის ტრფიალი. არც არის გასაკვირი, მამამისი, ბაქოს დეპოს მუშა რკინიგზელთა დრამწრის მთავარი როლების შემსრულებელი გახლდათ, იგი ყოფილა ლამაზი გარეგნობის, მგზნებარე ტემპერამენტის მქონე აქტიორი. იყო ძალზე პოპულარული იმ დროისათვის, განსაკუთრებით ეროვნულ პიესებში, რაც საამაყოდ ჰქონდა პატარა სერგოს, როგორც საკუთარ გულში, ისე ტოლ-ამხანაგების წრეში.

კრეონტი სერგო ზაქარიაძე, ანტიგონე ზინაიდა კვერენჩხილაძე

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ზაქარიაძის ოჯახი ზესტაფონში გადმოსახლებულა. პატარა სერგო ჯერ ზესტაფონის დაწყებით სკოლაში, მერე გიმნაზიაში სასკოლო სპექტაკლებში მონაწილეობდა და ზოგჯერ მთავარ როლებსაც ასრულებდა. მაგალითად, სასკოლო პიესაში „კოტეს დანაშაული“ იმდენად კარგი ყოფილა სერგო, რომ სპექტაკლზე დამსწრე ცნობილ ქართველ მსახიობს ვასო ურუშაძეს პიესის დამთავრების შემდეგ ძალზე შეუქია და მაყურებელთა წინაშე წარუდგენია, სერგოს კი მოწონება და ტაში დაუმსახურებია.

ვინაიდან ეს იყო სერგოს პირველი საჯარო წარმატება, იგი სამუდამოდ დაამახსოვრდა მას და მოსვენება ისე დაუკარგა, რომ უთეატროდ ცხოვრება ვეღარ წარმოედგინა. სერგო ზაქარიაძე, რომელიც ჯერ 14 წლისაც არ



„გიორგი სააკაძე“ – სერგო ზაქარიაძე

იყო, ოჯახიდან გაიპარა. უმცროს ძმას დაუბარა: „ვიცი იქ გამიჭირდება, დედას კი უთხარი თუ არ უნდა შიმშილით მოკვდე, ცოტა ლობიო და ჭადის ფქვილი გამომიგზავნოსო“. არა და ამ დიდ უცხო ქალაქში დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მთლად ახალგაზრდა ბიჭი. ქალაქში ბინა არ ჰქონდა. აქა-იქ ნაცნობ-ნათესავებში ათევდა თითო-ორ-ორ ღამეს.

იდგა 1922 წლის ცხელი აგვისტოს თვე. თეატრალური სტუდიის დირექცია იუწყებოდა მოსწავლეთა მიღებას.

სერგომ წაიკითხა თუ არა, რითით შეაღო სტუდიის კარები და კომისიის წინაშე წარსდგა. კომისიამ შეამჩნია, რომ ძალზე ახალგაზრდა იყო და წლოვანება ჰკითხა. 14-ის ნაცვლად 17-იო უპასუხა. რა გეჩქარება ერთი-ორი წელი მოიცადეო, მაგრამ მან უპასუხა, არა მე ძალიან მეჩქარება და ვერ მოვიცდიო.

ტურების გასვლის შემდეგ სერგო ვერ მოხვდა მიღებულთა სიაში, რომლის წასაკითხად „ნახალოვკიდან“ დილის 4 საათზე ფეხით მოვიდა სტუდიის წინ, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა (მთელი ღამე ნერვიულობით ვერ დაეძინა და დილის ოთხ საათზე ვინ დახვდებოდა ადგილზე) მან დილის 8 საათამდე რუსთაველის პროსპექტის ქვაფენილი ათასჯერ გადათვალა. დილის 8 საათზე თავისი გვარი სიაში ვერ ნახა და ძალზე შეწუხდა. აქ უშველა მისმა საოცარმა ნებისყოფამ, სწრაფვამ მიზნის მისაღწევად, შეუპოვარმა ხასიათმა, არ დაიბნა, ყველა ღონე იხმარა და თავისუფალ მსმენელად ჩაარიცხვინა თავი.

სერგო ზაქარიაძე

ნ. ყიფიანი, ს. ზაქარიაძე, ნ. ლაშხი

რამდენიმე ხნის შემდეგ დედას გულმა ვერ მოუთმინა და შვილის სანახავად ქალაქს ჩამოვიდა, სიხარულით კი გაიხარა, რომ მისი შვილი სტუდენტი გამხდარიყო (რა უჭირს, რომ თავისუფალი მსმენელი იყო) მაგრამ როცა შეიტყო, რომ მის შვილს იატაკზე ეძინა ბინძურ ფიცრულში, ატირდა, მოინახულა შორეული ნათესავი, მათ ჩააბარა, უკეთეს პირობებში დატოვა და გულდამშვიდებული წავიდა.

სერგო თავს ბედნიერად თვლიდა: დღე სწავლობდა, საღამოობით თეატრში სტატისტად მუშაობდა.

მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთმა გაუგებრობამ ეს სიმწრით მიღებული სტუდბილეთი დაატოვებინა, სტუდიიდან გარიცხულ იქნა. რა ექნა სერგოს? გადაწყვიტა ზესტაფონში დაბრუნება და სწავლის დამთავრება. ორი წლის შემდეგ კვლავ ჩამოვიდა თბილისში. იგი უნივერსიტეტში შევიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე გონების კანონებით. ოჯახი ბინა-ბინა ეძებდა. ბინა ბინა ეძებდა. ბინა ბინა ეძებდა. ბინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება ცხოვრებასავით მარადიულია



მერაბ მერაბიშვილი

„შეიძლება ბევრი ნახო, წაიკითხო, შეიძლება ზოგი რამ წარმოისახო, მაგრამ რომ გააკეთო – უნდა გქონდეს უნარი, უნარი კი მხოლოდ ტექნიკის დაუფლებით გვეძლევა“ (მ. გორკი).

იყო კარგი მოქანდაკე და თანაც ისეთი ცნობილი მოქანდაკის შვილი, როგორიც ბატონი კონსტანტინე მერაბიშვილი გახლდათ, ორმაგი დატვირთვაა, მაგრამ რა სასახელოდ და ჩვენდა სასიხარულოდ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ბატონმა მერაბმა არ უღალატა არც თავის საყვარელ საქმეს, არც მამას, როგორც ხელმძღვანელს, რომლის ზედამხედველობით იზრდებოდა, ყალიბდებოდა და დღეს თვითონ გახლავთ უკვე ამადარი პიროვნება. ბატონი მერაბი ძირთადად მონუმენტურ ქანდაკებაზე მუშაობს. აღსანიშნავია მისი პირველი ნამუშევარი, მისი პირველი ასე ვთქვათ „პირველი პირმშო“ შესანიშნავი ქანდაკება ა. გრიბოედოვი. არ შემიძლია ჩემი პირადი განცდა არ გაგანდოთ. ამდენად მომწონს, რომ თამამად ვამბობ მთელი რუსეთი, რომ შემოიაროთ ასეთ ჩაფიქრებულ, ასეთ ლამაზ ა. გრიბოედოვის ძეგლს ვერსად ნახავთ. იგი მარტო თბილისშია.

ერეკლე მეფის ბრინჯაოს მონუმენტი დაიდგა ქალაქ თელავში. იგი ავტორია ბორის ძნელაძის ძეგლის და, რაც მთავარია, თბილისის ძველ უბანში, ავლაბარში, დაიდგა მისი პეტრე ბაგრატიონი.

ლამაზი პარკების მფლობელი ძველი ბელუხანოვის გამზირი კიდევ ერთი შესანიშნავი ეზო-ბაღის პატრონი იყო. №147-ში დგას ლამაზი სახლი და არ ვიცი მშენებლობა გაჭიანურდა, თუ როგორ იყო საქმე, მაგრამ ჩემზე უფროსი თაობიდან მეძვიდრეობით გადმოგვეცა ტერმინი „ნაპასტროიკაზე წავედეთ სათამაშოდ“. დღესაც ასე მოვიხსენიებთ ამ სახლს.

ხშირად დინჯი, ნელი ნაბიჯით, ჩაფიქრებული ბატონი კონსტანტინე (კოტე) მერაბიშვილი მიდიოდა თავის ბინაზე-სახელოსნოსაკენ. ნეტა რა ხდება იქ, როგორ მაინტერესებდა პატარას. რამდენჯერ ჭუჭრუტანაშიც კი შემიხედია, მაგრამ უშედეგოდ გამოვტრიალებულვარ. იქ ხდებოდა რაღაც მნიშვნელოვანი და საინტერესო, მაგრამ რა? ვერ ვაცნობიერებდი.

სუნთქვა შემეკრა და სხეული გამეყინა, როდესაც ბატონმა ვაჟა სალუქვაძემ შემატყობინა, მერაბთან მივდივართ. მგონი გავფრინდი და აი, უკვე ხელს ვართმევთ ბატონ მერაბს, ვულოცავთ შემოქმედებით გამარჯვებას, ის კი აღებს კარს და წინ მიგვიძღვება.

სახელოსნო ორი სართულისაგან შედგება. პირველი სართული არის სამუშაო ადგილისათვის განკუთვნილი, კედლის გასწვრივ ბატონ კოტეს და მერაბის დაუმთავრებელი ბიუსტები ალაგია. შუა ოთახში მბრუნავი დაზგაა, სადაც ხდება ფიგურის პირველადი ჩონჩხის აგება და შემდეგ დამუშავება. დღეს იგი ცარიელია, რადგან ბატონ მერაბისთან ერთად ისვენებს. ჩვენი მზერა შევაჩერეთ რაღაც დიდი ზომის ფარგალზე. ბატონმა მერაბმა შეამჩნია, ჩაეცინა და გვიამბო: „ეს იარაღი დიდი რელიკვია გახლავთ ჩვენი ოჯახის. როგორც ცნობილია, იაკობ ნიკოლაძე საფრანგეთში ყოფნისას გაეცნო რა ოგიუსტ როდენს, თავი ისე შეაყვარა, რომ ყველას გასაკვირად, რადგან როდენს არ აუყვანია თავის სიცოცხლეში არავინ მოწაფედ. მარტო მოწაფედ კი არა იაკობი როდენთან და მის მეუღლე როზასთან ერთად ოჯახში ცხოვრობდა. ჩვენ მოქანდაკეებს ერთი ჩვეულება გვაქვს, ერთი ადათ-წესი. როდესაც გვინდა დავუბრუნდეთ რომელიმე ადგილს, ვტოვებთ რაიმე უმნიშვნელო იარაღს. იაკობ ნიკოლაძემ, როდესაც გაანდო როდენს თავისი გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნების შესახებ. გამომშვიდობებისას როდენმა გაუწოდა ფარგალი და უთხრა: „შენ ხომ იცი, ამის გარეშე ჩვენი მუშაობა არ შეიძლება. ვიცი აღარ დაბრუნდები, მაგრამ იქნებ ამ საჩუქარმა დაგაბრუნოსო“. დრო გადიოდა, მაგრამ იაკობ ნიკოლაძემ მართლაც ვეღარ მოახერხა საფრანგეთში ჩასვლა“.

ა. გრიბოედოვი, ქ. თბილისი

იაკობ ნიკოლაძესთან ეზიარა ურთულეს ხელოვნებას ბატონი კოტე სტუდენტობისას. შემდგომში თავისი შემოქმედება შეიძლება ამიტომაც დაუთმო პორტრეტულ ჟანრს.

როგორც პირველ, ასევე მეორე სართულის საგამოფენო დარბაზში ქართველ მოღვაწეთა გალერეაა შექმნილი: გიორგი ერისთავი, იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ვასო გოძიაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, შალვა ამირანაშვილი, მირზა ფატალი ახუნდოვი და სხვა.

შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1934 წელს გამოცხადდა კონკურსი ძეგლის შექმნის შესახებ. კონკურსში მონაწილეობდნენ იმ წლებში გამოჩენილი მოღვაწენი: ი. ნიკოლაძე, შ. მიქატაძე, ს. კაკაბაძე, ნ. კანდელაკი, რ. თავაძე, ვ. თოფურიძე, ვ. გრიგოლია და მათთან ერთად კოტე მერაბიშვილი. მოხდა ისე, რომ პირველი პრემია მიაკუთვნეს ბატონ კოტეს. მეორე დღეს ბატონი იაკობი სწვევია თავის გამარჯვებულ ნამოწაფარს სახლში. „მე გასწავლეთ სროლა და შენც ისწავლე ყველაზე კარგად, მაგრამ პირველს მე დამიმიზნე. გულით გილოცავ და სიხარულით გადმოგცემ ჩემთვის ყველაზე უძვირფასეს სამახსოვრო ნივთს. ამაზე ძვირფასი მეტი არა გამაჩნია. იგი შენს ახალგაზრდა ხელებში უფრო ივარგებს“. ასე მოხვდა ოგიუსტ როდენის ფარგალი მერაბიშვილების ოჯახში და იგი უძვირფასესი რელიკვიაა. ბატონმა მერაბმა აქვე დასძინა, ბევრმა შემომთავაზა, მათ შორის ფრანგებმაც, საკმაოდ სოლიდური თანხა ამ ნივთში, მაგრამ „ყველაფერი ხომ არ იყიდება? ეს ნივთი მამას არ შეუძენია. განა მაქვს გაყიდვის უფლება?“ ფრანგები კი ბატონ მერაბს ასე დაუწყნარებია: „თუ მე და ჩემი შთამომავლობა ჩათვლის საჭიროდ, იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადაეცემა პირველ რიგში ფრანგ ხალხს“.

მეფე ერეკლე, თელავი

შოთა რუსთაველის ძეგლი, მართალია არამთლიანი ანსამბლით, როგორც პროექტში იყო წარმოდგენილი, მაინც დაიდგა ომის მძვინვარე დღეებში 1943 წელს. რა გაუტეხელი სულის ხალხი ვყოფილვართ, კარზე მომდგარმა მტერმაც კი არ შეგვაშინა. დღეს, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის დაჭიმულობის მიუხედავად 1994 წლის 4 სექტემბერს, მოსკოვში, დაიდგა ბატონ მერაბის მიერ შესრულებული გამოჩენილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ძეგლი.

მოსკოვში არსებობს პეტრე ბაგრატიონის სახელობის ფონდი, რომლის თავმჯდომარე გახლავთ ჯიმშერ ვათეიშვილი. ქალაქის ცენტრში შენდება თანამედროვე საქმიანი ცენტრი: მაღალი მრავალსართულიანი შენობებით, საგამოფენო დარბაზებით, მაღაზიებით და სხვა. ახალი ცენტრი ახალმა ხიდმა დააკავშირა კუტუზოვის პროსპექტთან. მოსკოვის მთავრობამ ლუჟკოვის მეთაურობით გამოაცხადა კონკურსი მშენებარე ხიდის სახელის მინიჭების შესახებ და გაიმარჯვა პეტრე ბაგრატიონმა. აქვე ვათეიშვილის დროული წინადადებით გადაწყდა პეტრე ბაგრატიონის ძეგლის დადგმაც. ბატონმა მერაბმაც მიიღო წინადადება ძეგლის დადგმის შესახებ.

სახელოსნოში მაკეტის სახით არის წარმოდგენილი პირველადი ჩანაფიქრი, სადაც სამი ფიგურაა წარმოდგენილი: მთავარი მხედართმთავარი მ. კუტუზოვი, პირველი არმიის მხედარმთავარი ბარკლაი დეტოლი და მეორე არმიის მხერადმთავარი პეტრე ბაგრატიონი. უყურებდით მე და ბატონი ვაჟა ამ შესანიშნავ ისტორიულ სანახაობას, რომელიც აუცილებლად დაამშვენებდა ბოროდინოს ველს, სადაც დღესღეობით მარტო ობელისკი დგას.

ჩვენს კითხვაზე თბილისში და მოსკოვში დადგმული ძეგლი პ. ბაგრატიონისა, რატომ ზის ორივე შემთხვევაში ცხენზე, ბატონმა მერაბმა ასეთი პასუხი გაგვცა: „პეტრე ბაგრატიონს ისე უყვარდა თავისი ცხენი, რომ მშვიდობიან დროსაც კი მიწვეული მაღალი საზოგადოების ფართო დარბაზში ცხენით შედიოდა. აბა, მე რა უფლება მაქვს მისი ცხენიდან ჩამოსმის“.

პეტრე ბაგრატიონი უსაყვარლესი პიროვნება გახლავთ ბატონ მერაბის. შეიძლება ამ სიყვარულს, დაინტერესებას და პატივისცემას ისევ ბატონმა კოტემ ჩაუნერგა შვილს, რადგან მასაც აქვს შესრულებული პატარა ბიუსტი გამოჩენილი მხედართმთავრისა. მერაბს ისე დეტალურად და ამომწურავად ჰყავს შესწავლილი ისტორიული პიროვნებაც, რომ შეიძლება ბევრ ისტორიკოსს შეშურდეს კიდეც. რატომ მიიღო რუსმა ხალხმა ქართველი მხედართამთავრის ძეგლი გულთან ახლოს? იმიტომ, რომ იგი ვაჟკაცურ შემართებასთან ერთად, კეთილგანწყობილი სახით არის წარმოდგენილი. ბატონმა მერაბმა გაითავისა მხედრის გმირული ცხოვრება და შინაარსი, კარგად გადმოგცა მისი შემართება, შესწავლილი ჟესტიკულაცია მოწოდების დაძაბულობაშია გადაწყვეტილი. სწორედ ასე, მოხდენილი მხედარი ცხენზე ლამაზი ჯდომითაც უნდა გამოირჩეოდეს. სწორედ ეს მარცვალია ჩადებული ხელოვანის მიერ გმირულ ქანდაკებაში.

ჩვენს გარშემო კვლავ ნაცნობი სახეებია: დუდუხანა წეროძე, ილია ვეკუა, ალექსანდრე გრიბოედოვი, მოსე თოიძე, ქალბატონ შურა თოიძის მამა, ილია ჭავჭავაძე, აღიარებული სილამაზის სიმბოლო ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე და სხვა.

ბატონმა მერაბმა გაგვაჩერა ერთ ბიუსტთან და გვითხრა „მამაზე კიდევ ერთი კარგი, საინტერესო მოგონება უნდა მოგიყვეთ. ჩვენთან ბევრნი ჩამოდიოდნენ და დღესაც ჩამოდიან სტუმრები. სახელოსნო დაათვალიერეს: ხიტმა, ბიტსტრუპმა და სხვა. ასე გვესტუმრა ერთხელ გამოჩენილი სომეხი მხატვარი მარტიროს სარიანი. მამამ დასვა და ერთ საათში შექმნა ეს ბიუსტი. მერე სთხოვა ხვალაც მოდი, ვიმუშაოთ და დავამთავროთო“. „რაო, უყვირია სარიანს, ხვალ მოვიდე, რომ გაიფუჭო, ხელი არ ახლო, ჩამოასხი და ერთი შეც გამომიგზავნეო“. მამამ თხოვნა აუსრულა.

ოჯახში მერაბის ორი ქალიშვილი ფუსფუსებდა. სოფიო ხელოვნებათმცოდნეა, მარიკა მამის ხელობის კვალობაზე მოქანდაკე გახლავთ. უფროსი ქალიშვილი ნინო ამერიკაში მოღვაწეობს და არის პიანისტ-შემსრულებელი.



კონსტანტინე მერაბიშვილი

რა ძნელია საინტერესოდ მოუბარ ადამიანთან დაშორება, მაგრამ გვშინია არ გადავლოთ, არ შევაწუხოთ. კარები იკეტება და მის მიღმა რჩება შესანიშნავი სამყარო, შემოქმედის სულიერი ზვირთთა თარეში, სამყარო მშვენიერების წვდომისა, აზრთა მისწრაფებისა და მართალი სიტყვის თქმისა. „ხელოვნებას არა აქვს საკუთრება – საზღვარი! ის ყველ ხალხს ეკუთვნის“. (აკაკი წერეთელი).

მერაბ მერაბიშვილი სახელოსნოში

რაზე ოცნებობს ბატონი მერაბი? „ამირანი“ – ქართული ეპოსის გმირის ოც მეტრიანი ფიგურის აღმართვაზე ყაზბეგის ულამაზეს მთებში. აქ კი ცნობილია, რომ გაზის მილსადენი იძლევა საშუალებას დიდი ქვიდან, რომელიც ამირანს ხელზე უდევს, ამოვიდეს სამარადისო ცეცხლი. ფიგურის ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად, თითქოს მასშია თავმოყრილი მთელი ქართველი ხალხის სულიერი ვაჟკაცობა. იმედია, ლამაზი ოცნებების ასრულების დღეც დადგება.

ვაჟა სალუქვაძე,
ნანა ბიბილური

ი. ლუჟკოვი, ვ. ზოდელავა, ვ. პუტინი

პლატონოვი, პუტინი, ლუჟკოვი, თორი, ვათეიშვილი, მერაბიშვილი, წერეთელი

საქართველოდან ტექსელამდე

კუნძული „ტექსელი“

1999 წლის 24 ოქტომბერი დაუვიწყარი დღე იქნება თბილისელთათვის, რადგან დიღმის მასივის ხეივანში ჩვენი ქალაქის მოწინავე საზოგადოება შეიკრიბა. ქალაქის მერიის წარმომადგენლობასთან ერთად ტექსელის მერი ქალბატონი კორნელია იოჰანა, კულტურის სამმართველოს მოღვაწენი და „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტი“, რომელსაც საქართველოში ხელმძღვანელობს ბატონი რეზო სულავა. მთავარი მიზეზი შეკრებისა გახლდათ ის, რომ ხეივანს ტექსელის საპატივცემულოდ მათი სახელი მიენიჭა.

ომის თემა ვერც მწერლობამ და ვერც კინემატოგრაფიამ ბოლომდე ვერ ამოწურა. მარტო დრომ მიაჩუმა და ყოველდღიურმა სხვა საზრუნავმა დღეს იგი თითქოსდა მივიწყებას მისცა, მაგრამ ომის დანატოვარი სულიერი აუფეთქებელი ყუმბარა დღესაც გვახსენებს იმ დიდ ჭრილობებს, რასაც სამამულო ომი ჰქვია.

საქართველომ სამამულო ომში 750 ათასამდე მეომარი გაგზავნა. ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ: ბრესტის ციხე-სიმაგრესთან, ბელორუსაში, ბალტიისპირეთში, მოსკოვსა და ლენინგრადის მისადგომებთან, ხარკოვსა და სტალინგრადთან, უკრაინაში და სხვა... სამამულო ომის გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა პარტიზანულმა მოძრაობამ. 1945 წლის 6 აპრილს ქართველმა მეომრებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ტყვედ ჰოლანდიის კუნძულ „ტექსელზე“, მოახდინეს აჯანყება ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ. აჯანყება არ იყო უცაბედი, სპონტანური ხასიათის, მას წინ უძღოდა ურთულესი მოსამზადებელი გზა, რომლის ცოცხალი მოწმე და მონაწილე გახლდათ ჩვენი თანაუბნელი (პლეხანოვი № 141) აწგარდაცვლილი ბატონი ვახტანგ წამალაშვილი. მართალია, ბევრი რამ დაიწერა ტანჯული კუნძულის შესახებ, კინორეჟისორმა შოთა მანაგაძემ 1968 წელს შექმნა კინოფილმი – „ჯვარცმული კუნძული“, მაგრამ, ხშირად მოსმენილი უფრო მეტად შთამბეჭდავი და დაუვიწყარია. მერვე დივიზიის მეთაური ვახტანგ წამალაშვილი უკრაინის მიწა-წყალზე სოფელ დიდ მარიანოვკასთან იბრძოდა. მიწის ყოველი მტკაველისათვის გმირულად იბრძოდა ყველა, მაგრამ მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გაიმარჯვა და დაჭრილი მეთაური ტყვედ ჩავარდა. უჭმელობით დაუძლურებული, დასუსტებული, ფეხშიშველი ტყვეები პოლონეთში ფეხით ჩაიყვანეს. გერმანელებმა ისინი ეროვნების მიხედვით დაყვეს. 1943 წელს დაბა კრუშინოში შექმნეს ქართველ ტყვეთა ბანაკი, რათა შემდეგში ქართველ მეომართა ლეგიონი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. ვახტანგ წამალაშვილი აქ დაუახლოვდა შალვა ლოლაძეს, ნოე გონგლაძეს, ვასიკო ჟღენტს, სამშე ლეჟავას, რათა გამოენახათ რაიმე საშუალება პარტიზანებთან დასაკავშირებლად. ასეთი პიროვნება მოინახა. ეს იყო ლეო ბერუჩავი. დაბა კრუშინოს ტყვეთა ბანაკი აყარეს და გადაიყვანეს საფრანგეთში ქალაქ ლეონში, ხოლო სამი კვირის შემდეგ გააგზავნეს ჰოლანდიის ქალაქ ზანდფორდში. აქ ვახტანგ წამალაშვილი შეხვდა რუს ემიგრანტს ივანე ბონდარევს, რომლისგანაც შეიტყო ინგლისელთა დესანტის გადმოსხმის შესახებ. მათი შეთანხმებით, დესანტის გადმოსხმის დროს თვითმფრინავებს სამჯერ თეთრი კვამლის წრე უნდა შემოეზახათ და ამ ნიშნის შემდეგ ქართველები დაიწყებდნენ საბრძოლო ოპერაციას. მათ ეხმარებოდნენ ჰოლანდიელებიც, პირადად ლაიჩეს ქუჩა № 26-ში მცხოვრები ნითელ კორნელ ფონ ალტენა. ჰოლანდიელებმა შესთავაზეს ქართველებს – „ჩაბარდით ინგლისელებსო!“, მაგრამ, ვახტანგ წამალაშვილმა და შალვა ლოლაძემ უპასუხეს – „თავისუფლება ან სიკვდილი“. 7 საათზე დესანტის გადმოსხმის ოპერაციის დაწყებას რადიოს საშუალებით გადასცემდნენ ავტომანქანის სიგნალებით, რაც აუწყებდათ ოპერაციის დაწყებას, საღაც მონაწილეობას იღებდნენ ჰოლანდიელი კომუნისტებიც.

მაგრამ, მოხდა გაუთვალისწინებელი, არასასიამოვნო ამბავი. ერთმა ქართველმა ტყვემ, ვინმე მალაქიამ, გერმანელი ოფიცერი სცემა და თავის გასამართლებლად წამალაშვილს გადაბარალა – „ვახტანგმა წამაქეზაო!..“ ამ მოტივით ბატონი ვახტანგი გადაიგზავნა სხვაგან და მან თავისი საქმიანობა გადააბარა შალვა ლოლაძეს – „აბა, შენ იცი ბიჭო, როგორ ვაკაცურად მოიქცევი“ – და განშორებისას ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან. სულ მალე ტყვეთა ბანაკი აჰყარეს. გამგზავრების წინ გონგლაძემ და ლოლაძემ ლეო ბერუჩავი გააპარეს ჰოლანდიელ პარტიზანებთან ერთად, რათა იქ დარჩენილიყო და შემდეგ კვლავ დაემყარებინა ქართველ პარტიზან ტყვეებთან კავშირი. გერმანელებმა იგრძნეს ბატალიონში ანტიფაშისტური მოძრაობის დაწყება და ამიტომ 1945 წლის თებერვალში ტყვეები გადაიყვანეს კუნძულ „ტექსელზე“.

ჰოლანდიაში ჩასულმა, ვინც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება არ მოინახულოს ის წმინდა ადგილი – ქართველთა სასაფლაო, რომლის ჭირისუფალი და მომვლელი ჰოლანდიელი ხალხია. არ დამავიწყდება, ბატონი რეზო თაბუკაშვილი როგორი აღტაცებული ჰყვებოდა ჰოლანდიელი ხალხის კულტურაზე და იმ დამოკიდებულებაზე, მოვლილი საფლავების ნახვით რომ იგრძნობოდა – მათდამი მოწიწებას, რუდუნებას, სიყვარულს და ხსოვნას ჰოლანდიელი ხალხი დღემდე ატარებს. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიაში ბატონმა რეზომ ქართველ ოსტატთა მიერ შესრულებული შესასვლელი ჭიშკარი ჩაიტანა ქართულ მიწასთან ერთად. პარტიზანთა სავანე, რომელიც ჩაფლულია ულამაზეს ვარდებში, ინახულა ჩვენმა ანსამბლმა [illegible] ბ-ნ [illegible] [illegible] დღე გაატარ[illegible] ტექსელის კუნძულზე. ბავშვების მიერ შესრულებულმა საგალობელმა, საფლავებზე მოფრქვეულმა ქართულმა მიწამ, მოპკურებულმა ქართულმა ღვინომ და „შაელეგოს“ შემოძახილმა იქ მყოფი ჰოლანდიელები დააჩოქა. ბატონი ანზორ ერქომაიშვილი იხსენებს, რომ „მაყურებელთა შორის იყვნენ ჰოლანდიელი ომის ინვალიდები, მოხუცები, რომლებიც ქართველებთან ერთად იბრძოდნენ. მათ ვერ გაუძლეს ამ სანახაობას და ზოგიერთს გულიც კი წაუვიდა“.

ამა წლის 4 მაისს ჰოლანდიის მიწვევით ქართველ საზოგადოებასთან ერთად ბრძანდებოდა ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II, რომელმაც დაღუპულთა საპატივცემულოდ პარაკლისი გადაიხადა.

ქალაქ ბორჯომში ერთ-ერთ ბაღს მიეკუთვნა ტექსელის სახელი.

იყო ცრემლიც და იყო სიხარულიც, იყო ცეკვა-სიმღერა და ბავშვთა ჟრიამული. ხალხი უსმენდა შესანიშნავ სიტყვებს და ყველაფერს იმას, რასაც სამარადისო ხსოვნა ჰქვია. ზეიმს არაჩვეულებრივ ელფერს და ნაციონალურ სილამაზეს ჰმატებდნენ ქართულ ჩოხებში გამოწყობილი ჩოხოსანთა სახოგადოების წარმომადგენლები: ოთარ გოგიტიძე, ჯიმშერ ქაჯაია, გივი გზირიშვილი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, თამაზ ჯალაყანია, ომარ მზეიძე, ოთარ ფარულავა, მერაბ კიკოტაძე, ომარ კიკნაველიძე.

და რაც მთავარია, კვლავ გაიელვა ქართველთა მამაცობის დაუვიწყარმა გმირობამ, რამაც კვლავ გვაგრძნობინა ჩვენი სულიერი გაუტეხლობა. ყოველივე ეს კი გვავალებს, საკადრისი მივაგოთ უკვდავთა სახელებს. საჭიროა ობელისკის აღმართვა, რომელიც უკვდავ სახელთა პატივისცემასთან ერთად, ჰოლანდია-საქართველოს მეგობრობის სიმბოლოდ აღიქმება. მეგობრობას კი არ გააჩნია მანძილი, დრო და სივრცე.

იგი უბრალოდ, მარადიულია.

ნანა ბიბილური

ციკარაძე, თოიძე, ლაღიძე, ყირმისაშვილი, რევია, წამალაშვილი

ტექსელ-ჯორჯია

ტექსელის მერი: იოუკა გელდორფი მარცხნივ ვიცე-მერი ქ-ნი ნეილი. 4 მაისი 99 წ.

„ტექსელი“ – ეს სახელი II მსოფლიო ომის შემდგომი თაობისათვის მუდამ იმ მძიმე დღეების მოგონებებს უკავშირდება, რომლის შესახებაც ნამდვილად არაფერი ვიცოდით. კუნძული „ტექსელი“, ანუ „ჯვარცმული კუნძული“, 800 ქართველი ტყვე ჯარისკაცის ადგილსამყოფელია. გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციაში მყოფი ნიდერლანდების სამეფოს ულამაზესი კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში, გოლფსტრიმის თბილი დინებით გარშემორტყმული სულ 13 500 ადგილობრივი მოსახლეობით – სულით და ხორცით ძლიერი, მამაცი, მშრომელი და ჭკვიანი ტექსელელები.

1945 წლის 6 აპრილს ქართველმა ტყვეებმა, მიუხედავად ადგილობრივი იატაკქვეშელების წინააღმდეგობისა, კუნძულ ტექსელზე ფაშისტთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყეს, მათ მხარში დაუდგა ადგილობრივი მოსახლეობა. გერმანელებმა დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა მოზიდეს. კუნძული თითქმის მთლიანად დაინგრა, დაიღუპა 80 უდანაშაულო ჰოლანდიელი, 4 წლის ასაკიდან 80 წლამდე. გერმანელები უმოწყალოდ ყლეტდნენ ყველას, ვინც ქართველ ტყვეებს მიეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ტექსელელი ქალები – ათეულობით დედა კორნელია, თითოეული მათგანი უვლიდა დაჭრილებს და საკვებს უგზავნიდა დიუნებში – ტყეში გადასულთ, ქართველ ტყვე ჯარისკაცებს. ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა 1945 წლის 21 მაისს კანადელმა და ამერიკელმა კომანდორებმა დაამთავრეს, რომლებიც თვითმფრინავებით დესანტის სახით გადმოსხეს. ომი კარგა ხნის დამთავრებული იყო. ნიდერლანდებში ომის დამთავრება 4 მაისს იქნა აღიარებული.

18 წლის წინ საქართველოში კ. „ტექსელის“ მერიის დელეგაცია ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით ქ.თბილისში, ტექსელის მერის ხელმძღვანელობით. ვიზიტის შემდეგ მოგვიანებით 206 ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი ესტუმრა საქართველოს, რათა ენახა იმ ხუთასი დაღუპული ქართველი ტყვე ჯარისკაცის სამშობლო, რომლებიც კ.ტექსელის მიწაზე, ქართველთა სასაფლაოზე განისვენებენ. 500 წითელი ვარდი ხარობს მათ საფლავებზე, რომელსაც დიდი სითბოთი და სიყვარულით უვლიან. ამ დელეგაციაში გახლდათ ქ-ნი მარია დეგრააფი, რომელიც სამშობლოში კ.ტექსელზე დაბრუნებისთანავე შეუდგა „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის“ საზოგადოების შექმნას, რომელიც დღემდე მოღვაწეობს. არაერთი ჰუმანიტარული დახმარების პროექტი განხორციელდა ჩვენთვის ძნელბედობის ჟამს, მიწისძვრის დროს – რაჭაში – საბნები, ტანსაცმელი, საკვები 250 ადამიანზე, ჩვილ ბავშთა № 1 სახლს (ნუცუბიძის ქუჩაზე –1994 წ.), № 5 სამშობიარო სახლს, ინკუბატორები, ექიმების სტაჟირება ჰოლანდიის სხვადასხვა კლინიკაში. წელს 4-5 მაისს ფაშისტური გერმანიისაგან განთავისუფლების დღესთან დაკავშირებით და ქართველთა საფლავების უკვდავსაყოფად მოწვეული იქნა ჰოლანდიის მთავრობისა და ტექსელის მერიის მიერ სრულიად საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ამალით – მეუფე აბრამი, სასულიერო აკადემიის რექტორი, მამა გიორგი, სასულიერო აკადემიის პრორექტორი, მამა დავითი – პროტოდიაკონი, სიონის მგალობელთა ვაჟთა გუნდი ოთხი მგალობლის შემადგენლობით და თქვენი მონამორჩილი რევაზ სულავა, „ტექსელი-ჯორჯია კონტაქტის“ პრეზიდენტი საქართველოში, ექიმი-ორთოპედი. ამ ვიზიტამდე თვენახევრით ადრე ქ.თბილისის მერის ბ-ნ ვანო ზოდელავას სახელზე, „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის“ მიერ, გაგზავნილი იქნა თხოვნა იმის შესახებ, რომ მადლიერების გამოსახატავად და შემდგომი მეგობრული ურთიერთობების გაგრძელების მიზნით, თბილისში რომელიმე ქუჩას, პარკს ან სკვერს მიენიჭოს „ტექსელის“ სახელი. ამის შესახებ გაკეთდა განცხადება კუნძულ ტექსელის მერიაში ჩვენი ვიზიტის დროს, რაც დიდი სიხარულით იქნა მიღებული და სულ მალე ჩვენი დაბრუნების შემდეგ ქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დიდუბის რაიონის, დიღმის მასივში მდებარე ხეივანს ეწოდოს კ.ტექსელის სახელობის პარკი. გახსნა ამ პარკისა გადაწყდა 24 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე. მოწვეული იქნა კ.ტექსელის მერი ქ-ნი იოუკა გელდორფი და „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის“ პრეზიდენტი ქ-ნი მარია დეგრააფი. პარკის გახსნა საზეიმო და თბილ მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა, აქ იყვნენ ტექსელის ოპერაციის მონაწილე ვეტერანები, გრიშა ბაინდურაშვილი, პოკრო გახარია, ილია ბერუჩაშვილი, სამამულო ომის მონაწილე ვეტერანები, მათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. დიდი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტექსელის სახელობის პარკთან მდებარე № 140-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, სკოლის პედაგოგებმა (სკოლის დირექტორი ნ.წეროძე, დიდუბის რაიონის განათლების განყოფილების გამგე თ.ბუქულიშვილი). აღსრულდა ის დიდი ოცნება, რომელიც ორი ერის – ჰოლანდიელი და ქართველი ხალხის მეგობრობის სამომავლო ხიდად გაიდო, რომელზეც ჩვენი შვილები ივლიან. იმეგობრებენ მათ უცხოელ თანატოლებთან, რათა აღარ განმეორდეს ომის საშინელი სისხლიანი ტრაგედია.

კ.ტექსელის ისტორია შესანიშნავად გააშუქა და ააღორძინა დიდმა ქართველმა მწერალმა, დრამატურგმა რეზო თაბუკაშვილმა, რომლის საქმეს მისი შვილი, ასევე ცნობილი მწერალი ლაშა თაბუკაშვილი აგრძელებს.

სხვათა შორის ჰოლანდიურმა მხარემ, კერძოდ კ.ტექსელის მერმა ი.გელდორფმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ქალაქ თბილისის მერიის, დიდუბის რაიონის გამგეობის და ყველა მონაწილის მიმართ, ვინც არ დაიშურა ძალღონე, რათა პარკის გახსნის ცერემონიალი ასეთ სახალხო ზეიმად გადაქცეულიყო.

25.X.99 წ. ტექსელ-ჯორჯიას დელეგაცია გაემგზავრა ქ.ბორჯომში, საღაც გულთბილი შეხვედრა მოეწყო ქალაქის გამგებელთან ბ-ნ ავთანდილ გონგლაძესთან. ბორჯომის ცენტრში მტკვრის სანაპიროზე გაიხსნა კ.ტექსელის სახელობის სკვერი, ტექსელის მერი და „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის“ პრეზიდენტი არჩეული იქნენ ბორჯომის საპატიო მოქალაქეებად. ჩაირგო ქართული ფიჭვის შვიდი ნერგი ტექსელის დელეგაციის და ქართული მხარის ერთობლივი მონაწილეობით. ერთი ნერგი დედოფალ ბეატრიქსის სახელზე. ჩვენი საზოგადოების მოწვევით ამ პერიოდში 18-დან 30 ოქტომბრამდე იმყოფებოდა ორი ჰოლანდიელი ექიმი-ორთოპედი ვილმ ვან დერ ჰამი და ზოგადი ექიმი კლასს ეისენი. ჩატარდა ძალზედ საინტერესო ლექცია-სემინარები, ავადმყოფთა კონსულტაციები, ოპერაციები. დისახა სამომავლო გეგმები „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტთან“ სამუშაოდ (გაცვლითი პრაქტიკული-ტრენინგი, საორგანიზაციო, დახმარების პროექტები და ა.შ.).

მარცხნიდან მარჯვნივ: რეზო სულავა, „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის“ პრეზიდენტი საქართველოში; საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II; მარია დე გრაააფი „ტჯკ“-ის პრეზიდენტი ჰოლანდიაში – ქალაქ დენბურგში.

საქართველოს პატრიარქი ძმათა სასაფლაოზე

და ბოლოს მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად „ტექსელ–ჯორჯია კონტაქტის“ არსებობის მცირე დროისა (დაფუძნდა 1996 წ. 16 იანვარს) ორი ერის დაახლოების და დამეგობრებისთვის ბევრი საქმე გაკეთდა, გვირგვინი კი ტექსელის და ტექსელელების სახელობის უკვდავყოფაა, ვინაც თავი შესწირა თავისუფლებას.

ყველაფერი ამის გაკეთება ჩვენ დღევანდელი სტაბილური მდგომარეობით შევძელით და ასე გაგრძელებინოთ. ყოველი წლის 4 მაისს ტექსელის პარკში 16 30 წუთზე თავისუფლების ზარი ჩამოკრავს. გაუმარჯოს საქართველოს პრეზიდენტს.

რეზო სულავა

თინა იოსებიძე

საფეიქრო მრეწველობის გიგანტი

საქართველოში შალის წარმოებას უძველესი ისტორია აქვს. ამ დარგის განვითარებას ჩვენში ხელს უწყობდა მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარება. თუშური ჯიშის ცხვარი ფასობდა ოსმალეთში, ერაყში, სირიასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რადგან მისი მატყლი ძვირი ნედლეული იყო სახალიჩე წარმოებისათვის. მოგვიანებით თუშური მატყლით დაინტერესდა რუსეთიც. სახელგანთქმული აზერბაიჯანული ხალიჩები, რომელიც ცნობილი იყო „კუბის ნოხების" სახელწოდებით, უმეტესად თუშური ცხვრის მატყლისაგან იქსოვებოდა.

მატყლს მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს ექსპორტში. გასული საუკუნის დასასრულს ქართული მატყლი გაჰქონდათ ძირითადად მარსელში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში მისი ექსპორტის არე გაფართოვდა. მატყლის გატანა იწყეს ინგლისში, ამერიკაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. ქართული მატყლისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდებოდა, უცხოელები ჩამოდიოდნენ საქართველოში, რომ იაფად და დიდი რაოდენობით შეესყიდათ მატყლი.

მატყლის წარმოებასთან ერთად საქართველოს მოსახლეობა ძველთაგანვე მისდევდა საფეიქრო წარმოებასაც.

ჰეროდოტეს და სტრაბონის ცნობით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასეული წლის წინათ, ქსოვილების დამზადების ხელოვნება კოლხიდაში იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ კოლხური ქსოვილები იმ დროს მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა. ქართველი ხალხი თაობიდან თაობაში გადასცემდა საფეიქრო ხელოვნების მდიდარ ტრადიციას, რომელიც ფეიქართა უზომო შრომას, დიდ ენერგიას და ყურადღებას მოითხოვდა. მქსოველ ქალზე, როგორც პრესტიჟული პროფესიის მქონე ადამიანზე დიდი შოთა რუსთაველი წერდა:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?"

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და მეფის მთავრობა წარმოების ისეთი დარგების ზრდას უჭერდა მხარს, რომელიც რუსეთის მრეწველობას საჭირო ნედლეულს მიაწვდიდა. ცხადია, საქართველოში ისეთი ფაბრიკების დაარსება, რომელიც კონკურენციას გაუწევდა მეფის რუსეთის მრეწველობას, მისთვის არახელსაყრელი იყო.

პროგრესულ ადამიანთა შორის, რომლებიც ზრუნავდნენ საქართველოს საწარმოო ძალების, მათ შორის, შალის წარმოების განვითარებისათვის, იყო ა. ს. გრიბოედოვი. 1828 წელს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მის მიერ შედგენილი გეგმა უარყოფილი იქნა კავკასიის მეფის ნაცვლის პასკევიჩის მიერ, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის საწინააღმდეგო. ახალმა მეფის ნაცვალმა ბარონ როზენმაც უკვე გარდაცვლილი ა. ს. გრიბოედოვის გეგმის გამო გადაჭრით განაცხადა: „ასეთი წამოწყების დრო, აქ ჯერ არ დამდგარა". ასევე უარი ეთქვა გერმანელ კარლ მეიცნერის წამოწყებას, რომელსაც უნდოდა ექმა ანდრეევსკის მამულში მდინარე ვერაზე, ფაბრიკის მოწყობა.

მიუხედავად საფეიქრო ნაწარმის პრიმიტიული წესით დამზადებისა, ხელმარჯვე ოსტატების ნახელავს დიდი მოწონება დაუმსახურებია პარიზში. 1900 წელს მსოფლიო ბაზრობაზე დიდი აღიარება ხვდა წილად ქუთაისის გუბერნიაში დამზადებულ კავკასიურ მაუდს „ხონურ შალს", წმინდა ქსოვილებს, ჟაბალახებს, ნაბდებს და სხვა. მაშინდელი პრესა წერდა – „შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასიამ ამ მხრივ რუსეთის ყველა განაპირა რაიონს აჯობა". ამგვარად გვქონდა ნედლეული, გვქონდა საფეიქრო ნაწარმის დამზადების მდიდარი ტრადიცია და არ გვქონდა ინდუსტრია.

1926 წლის 7 ნოემბერს თბილისელებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეცხრე წლისთავის ზეიმის შემდეგ დიდებისაკენ აიღეს გეზი. ამ დღეს, ტრადიციული ცხენების დოღის საყურებლად ან ავიატორ ბესარიონ ქებურიას ჰაერში აფრენის სანახავად არ მიიჩქაროდნენ, რადგან ყველა ცდილობდა დროულად მისულიყო მაუდის ფაბრიკის საფუძვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალის სანახავად. დღის სამი საათისთვის, აქ სამშენებლო მოედანზე ზღვა ხალხს მოეყარა თავი. ასეთი გამოცოცხლება, აღტაცების შეძახილები და აღფრთოვანება დიდი ხანია არ ენახა მრავლის მომსწრე დიდუბის მაცხოვრებლებს. ფაბრიკის მთავარი კორპუსის წინასწარ მომზადებულ სამარკვეულში სიმბოლური სპილენძის ფირფიტის ჩატანების შემდეგ გიმართა გრანდიოზული მიტინგი. სიტყვით გამოსულები აღნიშნავდნენ, რომ ზაჰესის შემდეგ ამ ფაბრიკის აგებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ამიერიდან ქართველი ხალხი თავის ნედლეულს აქვე დამუშავებდა და ღარიბი მეურნეობის ქვეყანა მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცევა.



მაუდ-კამვოლის კომბინატი „საქართველო"

ეს ფოტოსურათი 1948 წელს არის გადაღებული. მაუდ-კამვოლის კომბინატის ხედი მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან. ახლა აქ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებით და აქვე აგებული დიღმის ხიდით ქალაქი დაკავშირებულია დიღმის მასივებთან და საქართველოს „სამხედრო გზასთან".

საშენი მასალებით დატვირთული ურმები და ფურგონები ქარავნებად მოედინებოდნენ სამშენებლო მოედნისაკენ. აგურს აგური ემატებოდა, თვალსა და ხელს შუა მაღლდებოდა უზარმაზარი გალავანი. გრანდიოზულ მშენებლობასთან ერთად აღსანიშნავია, რომ უცხოელთა სხვადასხვა ფირმების უამრავი მანქანა-დანადგარი ვაგონებით ჩამოდგა ფაბრიკაში ახლად გაყვანილ რკინიგზის ჩიხში. ფაბრიკის პროექტის ავტორი ნ. კანარსკი ხშირად ჩამოდიოდა საკონსულტაციოდ თბილისში. მთავარი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ პროექტის ავტორი 1929 წლის 2 აგვისტოს თავის კოლეგებს წერილში წერდა: „ფაბრიკა ულამაზესი გამოდის". იმ დღეებში თბილისს ეწვია ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია, დიღმის მასალებზე მოუშვეს მოაწყდა ფაბრიკას, აქაოდა, სტიქიურმა უბედურებამ მას რაიმე ზიანი ხომ არ მიაყენაო.

ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შედეგად, ფაბრიკის მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ომის პირველსავე დღეებში ოთხასამდე მუშა-მოსამსახურე წავიდა ფრონტზე. მათი ადგილები დაიკავეს მათმა ცოლებმა, დედებმა და მოზრდილმა შვილებმა. ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადები მუშაობდნენ დევიზით: „ – შრომაში, როგორც ბრძოლაში!" და მაღალი მაჩვენებლებს აღწევდნენ.



აპოლონ ცქიტიშვილი

ომის დამთავრებამდე 14 დღით ადრე გმირთა ხაკვდილით დაიღუპა თინა. ხუტა ბერულავას პოემაში „თინა თორტიზელი". შესანიშნავი სტრიქონებია მიძღვნილი თინასადმი:

„მე, საქართველოც დამიდასტურებს,
ამ ფიქრს და სიტყვას: ო, თინა, თინა!
შენებრ ვალმოხდილ და გმირ ასულებს
ტაძრის კედლებზე ხატავდნენ წინათ!"

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მთავრობა გაბედულად აწინაურებდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე მუშათა წრიდან გამოსულ უნარიან მუშაკებს. ხშირად მცირე განათლების, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და უტყუარი ალღოს მქონე ადამიანებმა სპეციალისტების ტექნიკური გამოცდილების გამოყენებით, მუშათა მასების, ენთუზიაზმზე დაყრდნობით შეძლეს მოკლე დროში აღედგინათ და მოეგვარებინათ დანგრეული სახალხო მეურნეობის მუშაობა.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პირველი დირექტორი ლავრენტი მეშველიანი თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათ-სამშენებლო ქარხნის ყოფილი ზეინკალი იყო. ასევე მუშათა წრიდან იყვნენ გამოსულნი მომდევნო დირექტორები: ვანო მახარაძე, ოლღა მდინარაძე. კომბინატის არსებობის 70 წლის მანძილზე 25 დირექტორი გამოიცვალა. კოლექტივის წარმატებული მუშაობის სტარტი ნიკოლოზ თუშიშვილის მუშაობის პერიოდს მიეკუთვნება (1947-1959). განხორციელდა ფაბრიკის რეკონსტრუქცია, აშენდა ბინები და აგარაკები, მომუშავეთა რეალური ხელფასების შესამჩნევი ზრდა, ბრძოლა საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გარდამავალი დროშისა და საპატიო ადგილების მოსაპოვებლად .

1954 წელს რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად, ფაბრიკას კომბინატი ეწოდა. ნ. თუშიშვილის მომდევნო დირექტორებია მიხეილ ბაბუნაშვილი, რეზო კუპრავა, თენგიზ ტეტუნაშვილი. მათ აქ შეიძინეს დიდი გამოცდილება და უნარიანი ხელმძღვანელები გახდნენ.

მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრის მოადგილის, მამია თენეიშვილის დირექტორად ყოფნის დროს (1985-1992) ძირეულად გაუმჯობესდა საწარმოს სამეურნეო-საფინანსო მაჩვენებლები და მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს შალის მრეწველობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი დღეს ჩამქდარია და იგი გულსაკლავ დუმილს მისცემია.

თუ აღებულია კურსი სახელმწიფოს შემდეგი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისა, ნუთუ არ დადგა ჯერი იმისა, რომ ამ კომბინატმა ახლებურად დაიწყოს სიცოცხლე და დაიბრუნოს ძველი დიდება?

დადგება ეს დრო?
ღმერთმა ქნას!

აპოლონ ცქიტიშვილი,
რესპუბლიკური მნიშვნელობის
პერსონალური პენსიონერი

ფაბრიკის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, 1930 წ. 25 თებერვალი

აპოლონ ჩიქოვანის ბრიგადა

მეფის ნაცვალმა ბარონ როზენმაც უკვე გარდაცვლილი ა. ს. გრიბოედოვის გეგმის გამო გადაჭრით განაცხადა: „ასეთი წამოწყების დრო, აქ ჯერ არ დამდგარა". ასევე უარი ეთქვა გერმანელ კარლ მეიცნერის წამოწყებას, რომელსაც უნდოდა ექმა ანდრეევსკის მამულში მდინარე ვერაზე, ფაბრიკის მოწყობა.

მიუხედავად საფეიქრო ნაწარმის პრიმიტიული წესით დამზადებისა, ხელმარჯვე ოსტატების ნახელავს დიდი მოწონება დაუმსახურებია პარიზში. 1900 წელს მსოფლიო ბაზრობაზე დიდი აღიარება ხვდა წილად ქუთაისის გუბერნიაში დამზადებულ კავკასიურ მაუდს „ხონურ შალს", წმინდა ქსოვილებს, ჟაბალახებს, ნაბდებს და სხვა. მაშინდელი პრესა წერდა – „შეიძლება თამამად ითქვას, რომ კავკასიამ ამ მხრივ რუსეთის ყველა განაპირა რაიონს აჯობა". ამგვარად გვქონდა ნედლეული, გვქონდა საფეიქრო ნაწარმის დამზადების მდიდარი ტრადიცია და არ გვქონდა ინდუსტრია.

1926 წლის 7 ნოემბერს თბილისელებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეცხრე წლისთავის ზეიმის შემდეგ დიდებისაკენ აიღეს გეზი. ამ დღეს, ტრადიციული ცხენების დოღის საყურებლად ან ავიატორ ბესარიონ ქებურიას ჰაერში აფრენის სანახავად არ მიჩქაროდნენ, რადგან ყველა ცდილობდა დროულად მისულიყო მაუდის ფაბრიკის საფუძვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალის სანახავად. დღის სამი საათისთვის, აქ სამშენებლო მოედანზე ზღვა ხალხს მოეყარა თავი.

მაუდ-კამვოლის კომბინატი „საქართველო"

ეს ფოტოსურათი 1948 წელს არის გადაღებული. მაუდ-კამვოლის კომბინატის ხედი მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან. ახლა აქ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებით და აქვე აგებული დიღმის ხიდით ქალაქი დაკავშირებულია დიღმის მასივებთან და საქართველოს „სამხედრო გზასთან".

ასეთი გამოცოცხლება, აღტაცების შეძახილები და აღფრთოვანება დიდი ხანია არ ენახა მრავლის მომსწრე დიდუბის მაცხოვრებლებს. ფაბრიკის მთავარი კორპუსის წინასწარ მომზადებულ სამარკვეულში სიმბოლური სპილენძის ფირფიტის ჩატანების შემდეგ გიმართა გრანდიოზული მიტინგი. სიტყვით გამოსულები აღნიშნავდნენ, რომ ზაჰესის შემდეგ ამ ფაბრიკის აგებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ამიერიდან ქართველი ხალხი თავის ნედლეულს აქვე დამუშავებდა და ღარიბი მეურნეობის ქვეყანა მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცევა.

საშენი მასალებით დატვირთული ურმები და ფურგონები ქარავნებად მოედინებოდნენ სამშენებლო მოედნისაკენ. აგურს აგური ემატებოდა, თვალსა და ხელს შუა მაღლდებოდა უზარმაზარი გალავანი. გრანდიოზულ მშენებლობასთან ერთად აღსანიშნავია, რომ უცხოელთა სხვადასხვა ფირმების უამრავი მანქანა-დანადგარი ვაგონებით ჩამოდგა ფაბრიკაში ახლად გაყვანილ რკინიგზის ჩიხში. ფაბრიკის პროექტის ავტორი ნ. კანარსკი ხშირად ჩამოდიოდა საკონსულტაციოდ თბილისში. მთავარი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ პროექტის ავტორი 1929 წლის 2 აგვისტოს თავის კოლეგებს წერილში წერდა: „ფაბრიკა ულამაზესი გამოდის". იმ დღეებში თბილისს ეწვია ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია, დიღმის მასალებზე მოუშვეს მოაწყდა ფაბრიკას, აქაოდა, სტიქიურმა უბედურებამ მას რაიმე ზიანი ხომ არ მიაყენაო.

ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის შედეგად, ფაბრიკის მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ომის პირველსავე დღეებში ოთხასამდე მუშა-მოსამსახურე წავიდა ფრონტზე. მათი ადგილები დაიკავეს მათმა ცოლებმა, დედებმა და მოზრდილმა შვილებმა. ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადები მუშაობდნენ დევიზით: „ – შრომაში, როგორც ბრძოლაში!" და მაღალი მაჩვენებლებს აღწევდნენ.

აპოლონ ცქიტიშვილი

ომის დამთავრებამდე 14 დღით ადრე გმირთა ხაკვდილით დაიღუპა თინა. ხუტა ბერულავას პოემაში „თინა თორტიზელი". შესანიშნავი სტრიქონებია მიძღვნილი თინასადმი:

„მე, საქართველოც დამიდასტურებს,
ამ ფიქრს და სიტყვას: ო, თინა, თინა!
შენებრ ვალმოხდილ და გმირ ასულებს
ტაძრის კედლებზე ხატავდნენ წინათ!"

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მთავრობა გაბედულად აწინაურებდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე მუშათა წრიდან გამოსულ უნარიან მუშაკებს. ხშირად მცირე განათლების, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და უტყუარი ალღოს მქონე ადამიანებმა სპეციალისტების ტექნიკური გამოცდილების გამოყენებით, მუშათა მასების, ენთუზიაზმზე დაყრდნობით შეძლეს მოკლე დროში აღედგინათ და მოეგვარებინათ დანგრეული სახალხო მეურნეობის მუშაობა.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პირველი დირექტორი ლავრენტი მეშველიანი თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათ-სამშენებლო ქარხნის ყოფილი ზეინკალი იყო. ასევე მუშათა წრიდან იყვნენ გამოსულნი მომდევნო დირექტორები: ვანო მახარაძე, ოლღა მდინარაძე. კომბინატის არსებობის 70 წლის მანძილზე 25 დირექტორი გამოიცვალა. კოლექტივის წარმატებული მუშაობის სტარტი ნიკოლოზ თუშიშვილის მუშაობის პერიოდს მიეკუთვნება (1947-1959). განხორციელდა ფაბრიკის რეკონსტრუქცია, აშენდა ბინები და აგარაკები, მომუშავეთა რეალური ხელფასების შესამჩნევი ზრდა, ბრძოლა საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გარდამავალი დროშისა და საპატიო ადგილების მოსაპოვებლად .

1954 წელს რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად, ფაბრიკას კომბინატი ეწოდა. ნ. თუშიშვილის მომდევნო დირექტორებია მიხეილ ბაბუნაშვილი, რეზო კუპრავა, თენგიზ ტეტუნაშვილი. მათ აქ შეიძინეს დიდი გამოცდილება და უნარიანი ხელმძღვანელები გახდნენ.

მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრის მოადგილის, მამია თენეიშვილის დირექტორად ყოფნის დროს (1985-1992) ძირეულად გაუმჯობესდა საწარმოს სამეურნეო-საფინანსო მაჩვენებლები და მომუშავეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

საქართველოს შალის მრეწველობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი დღეს ჩამქდარია და იგი გულსაკლავ დუმილს მისცემია.

თუ აღებულია კურსი სახელმწიფოს შემდეგი ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობისა, ნუთუ არ დადგა ჯერი იმისა, რომ ამ კომბინატმა ახლებურად დაიწყოს სიცოცხლე და დაიბრუნოს ძველი დიდება?

დადგება ეს დრო?
ღმერთმა ქნას!

აპოლონ ცქიტიშვილი,
რესპუბლიკური მნიშვნელობის
პერსონალური პენსიონერი

ფაბრიკის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, 1930 წ. 25 თებერვალი

აპოლონ ჩიქოვანის ბრიგადა

ამ ფოტოსურათზე ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი მეფეთ უბნელების სიმღერა

მეფეთ უბნის ერთგულნი ვართ
ნაღდი ქალაქელები,
ძველი პლეხანოველები,
ტრადიციის მცველები

სიყვარულში ვიზრდებოდით,
სიყვარული გვათბობდა,
ერთმანეთის გვერდით ყოფნა
გვახარებდა, გვათბობდა

გულს მოედო სიყვარული
და ხალისით ივსება
ვადღეგრძელოთ მეფეთ უბნის
ძლიერება, ღირსება

მეფეთ უბანს დღესაც თან სდევს
ძველებური იერი
თბილისური ეზოების
ტრადიცია ძლიერი

ხალხი მუდამ გულგახსნილი
მუდამ ტკბილ მოუბარი
ასე იყო, ასე დარჩა
ჩემი მეფეთ უბანი
ასე იყო, ასე დარჩა
ჩემი ძველი პლეხანოვი
ჩემი მეფეთ უბანი
ჩემი მეფეთ უბანი.

მეგობრული შარჟი (ვერელი მეფეთუბანში)

საბჭოთა სისტემის ექვსი პარადოქსი:

უმუშევრობა არ არის, მაგრამ არავინ არ მუშაობს არავინ არ მუშაობს, შრომის ნაყოფიერება კი იზრდება; შრომის ნაყოფიერება იზრდება, მაღაზიები კი ცარიელია; მაღაზიები ცარიელია, შინ კი რაღაც-რაღაცეები არის; შინ რაღაც-რაღაცეები არის, მაგრამ ყველა უკმაყოფილია; ყველა უკმაყოფილია, მაგრამ ყველა ერთხმად უჭერს მხარს:

რა არის სოციალიზმი?

ყველაზე გრძელი გზა კაპიტალიზმისაკენ

რა განსხვავებაა ჩვეულებრივ დემოკრატიასა და სოციალისტურ დემოკრატიას შორის?

– ისეთივე, როგორც ჩვეულებრივ სკამსა და ელექტროსკამს შორის.

პატივცემულო მკითხველო!..

გაზეთი „მეფეთუბანი“ გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე, შემოწირულების ხარჯზე.

ჩვენი თხოვნაა, თქვენი ნებასურვილის შემთხვევაში ჩაგვირიცხოთ თანხა ჩვენს ანგარიშზე ქართული გაერთიანებული ბანკი რეგიონული ფილიალი ანგარიში №012700965 კოდი 220101666 დავით აღმაშენებლის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების კლუბი.

თქვენი ქველმოქმედება აღნიშნული იქნება ჩვენს გაზეთში.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ქართული სუფრა

საინტერესოა აშქრის ნადიმებისა და სადღეგრძელოების წარმოთქმის ტრადიციის გახსენება, რადგან ღვინის სმა თითოეულ ხელოსანთა ამქარში რიტუალურ სიმაღლეზე იყო აყვანილი. თბილისის ბაღებში ხშირად იკრიბებოდნენ ხელოსნები, გააწყობდნენ ფსონით პურმარილს და აირჩევდნენ თამადას. თამადა უნდა ყოფილიყო ზნეობით გამორჩეული, ენაწყლიანი, ტკბილმოუბარი, ტრადიციათა დამცველი, ღვინის კულტისადმი პატივისცემით გამსჭვალული. თამადის არჩევის შემდეგ იწყებოდა დიდი პურობა. აქ მეღავნდებოდა ყველაზე სუფთა და ამაღლებული განცდები, თვითშემოქმედება სიტყვაში, სიმღერასა და ცეკვაში.

ნადიმზე წარმოითქმებოდა სამი ან ხუთი აუცილებელი სადღეგრძელო. თამადა პირველად უფლის სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, როგორც უძველესი დროიდან ითქმებოდა ხოლმე: „ჩვენი პირველი სიტყვა ეკუთვნის ღმერთს, ჩვენს დამბადებელს“. შემდეგ თანამოსუფრე ხელოსნები ფეხზე წამოდგებოდნენ, გადაიწერდნენ პირჯვარს, სასმისს აიღებდნენ და ერთად წარმოთქვამდნენ „ღმერთო დიდება შენდა“.

შემდეგი ოთხი სადღეგრძელო ეკუთვნოდა მეფეს, სამშობლოს, ძმობასა და მეგობრობას, წინაპართა მოგონებას.

რუსეთის გავლენის შემოჭრამ ქართლ-კახეთში ტრადიცია შეცვალა ქართველი მეფის ნაცვლად რუსთხელმწიფეს ადღეგრძელებდნენ, მხოლოდ შემდეგ მოწიწებითა და სიყვარულით ქართველ მეფეებსაც იხსენიებდნენ.

ღმერთის, ე.ი. პირველი სადღეგრძელოს წარმოთქმისას თელაველი ხელოსნები ასეთ ლეგენდას ჰყვებოდნენ: „გავაზის წმინდა გიორგის ეკლესიაში სამი რჩეული ვაჟკაცი მიდიოდა სალოცავად. გზაზე ადიდებული ალაზანი უნდა გადაელახათ. პირველმა გადაიწერა პირჯვარი და აზვირთებულ მდინარეში შევიდა. ამ დროს ალაზნის მეორე ნაპირას მდგარან ქრისტე, წმინდა გიორგი და ელია. სამივემ უცქირა, თუ როგორ ჩაყლაპა მდინარემ ცხენი და მხედარი. მეორესაც იგივე ბედი ეწია. წმინდა გიორგიმ და ელიამ ამის გამო ჰკითხეს ქრისტეს – ორივემ შენ გილოცა და რატომ არ დაეხმარეო. ქრისტემ არ უპასუხა. ალაზანში შეიჭრა მესამე მხედარი. მან პირჯვარი არ გადაიწერა, მაგრამ იგი დაუბრკოლებლად გავიდა მეორე ნაპირზე. მომხდარით გაოგნებულ წმინდა გიორგის და ელიას ქრისტემ ეხლა კი უპასუხა: ამ ვაჟკაცმა დილით, ადრე, ადგომისას გადაიწერა პირჯვარი და ლოცვით მახსენა. იმ ორმა მხოლოდ გაჭირვებისას გამიხსენესო“. ამ ლეგენდას ხელოსნები დიდის მოწიწებით ჰყვებოდნენ და თავის შეგირდებში ღმერთის რწმენას და სიყვარულს შთაგონებდნენ.

სამშობლოსადმი მიძღვნილ მესამე სადღეგრძელოში ასეთ ლეგენდას ჰყვებოდნენ: „როდესაც წმინდა გიორგი გარდაიცვალა, ნაწამები სხეულის ნაწილები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 365 ადგილას დაკრძალეს: ქართლში, მცხეთა-თბილისში, კახეთში, ალავერდში, იმერეთში – გელათში, მთიულეთ-გუდამაყარში და სხვა.

მეოთხე სადღეგრძელო, სადაც წინაპართა მოსახსენიებელი ითქმოდა, უძველესი დროიდან იღებს სათავეს. „წინაპართა სულის მოსახსენიებელი ჯერ კიდევ არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის დროსაა აღწერილი. გადმოცემის თანახმად იქ, სადაც მდინარე ფაზისი ერთვის შავ ზღვას, ჩამოუშვეს თუ არა იალქნები, იაზონი სკამზე წამოდგა, ხელში აიღო ღვინით სავსე ოქროს თასი და საკურთხი ღვინო მდინარეში გადააქცია. იაზონმა შესაწირავი მიართვა დედამიწას, ადგილობრივ ღმერთებს და განსვენებულ გმირთა სულებს“. მსგავსი ტრადიციაც შესისხლხორცებულია ქართველი ხალხისთვის.

თელაველი ხელოსნები ამ ქვეყნიდან წასულთა მოსაგონარ სადღეგრძელოებს პირველი გარდაცვლილით იწყებდნენ, ვინც თავისი სიყვარულით მათ გული დასწყვიტა, როგორც ახლობელს. შემდეგ იხსენებდნენ სახელოვან მამულიშვილებს, ბრძოლებში დაცემულ ვაჟკაცებს და ნაცნობ-მეგობართა წრიდან წასულებს. თელაველი ხელოსნები თიხის დიდი ქვევრებიდან ჯამებით იღებდნენ ღვინოს, ცოტას ჰურზე დააპკურებდნენ და შემდეგ სვამდნენ ვაჟკაცურად დაღუპულთა სადღეგრძელო-შესანდობარს. სულის მოსახსენიებელი სადღეგრძელო უძველესია და დღესაც აუცილებლად ისმევა.

მეხუთე ძმობა-მეგობრობის სადღეგრძელოს თქმისას ხელოსნები მარჯვენა მკლავებს ერთმანეთს გამოსდებდნენ, სასმისებს სიმაღლეზე ასწევდნენ და ასე სვამდნენ, რასაც ვახტანგური ერქვა და დღესაც ასე ჰქვია. ამ სადღეგრძელოსთვისაც არსებობს ლეგენდა, რომელიც ჩაწერილია თელაველი ხელოსნის, თერძთა აშქრის წარმომადგენლის აბრამ ჯავახიშვილისაგან: „მეფე ვახტანგ გორგასალმა მთაში გაგზავნა ქრისტიანობის გამარცელებელი უჯარმელი ქალი ციხია და მცხეთელი ვაჟი ციხია, ისინი ფეხშიშველები მიდიოდნენ ულრან ტყეში და გზადაგზა ქადაგებდნენ. ერთმა ხევისბერმა დაიჭირა ისინი და კლდეში გამოამწყვდია. 9 დღის შემდეგ უნდა დაესაჯა და როდესაც გამოსაყვანად მივიდნენ, იქ არავინ დახვდათ. ციხია და ციხია მეორე მხრიდან გასულიყვნენ და დაეტოვებინათ ჯვრის გამოსახულების გასასვლელი.

ციხიამ და ციხიამ, მაინც მოახერხა მთის ხალხში ქრისტიანობის გავრცელება. შეპყრობილი ხევისბერი კი აახლეს მეფე გორგასალს.

ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული ხევისბერის გაქრისტიანება. მათ პირველებმა შესვეს ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელო მკლავის გამოდებით. ვახტანგ მეფემ შემდეგი სიტყვებით შესვა სადღეგრძელო.

„ჯვარი წინ და ჯვარი უკან ქრისტე ღმერთი მხრებზე გვადგა!“

იმ დღიდან ასეთ სადღეგრძელოს დაერქვა ვახტანგური, რომელიც ჯვრის გამოსახულებით სიმბოლურად დღესაც გამოხატავს ქართველთა ძმობა-მეგობრობას. ლეგენდა „ვახტანგური“ სადღეგრძელოს შესახებ გავრცელებული იყო მეცხვარეებშიც.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომ თელავში XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართული რიტუალების შემსწავლელი სკოლა, რომელსაც თამადობის შემსწავლელ სკოლადაც მოიხსენიებდნენ. აქ სწავლა ერთწლიანი იყო და ყოველწლიურად 10-15 შეგირდი სწავლობდა, რომელთა მასწავლებლები ოსტატ-უსტაბაშები იყვნენ, რომლებიც ასწავლიდნენ ღვინის სმისა და თამადობის რიტუალის გარდა: წერა-კითხვას, ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას და სხვა. 1883 წელს ამ სკოლაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული თამადა კონსტანტინე ბახუტაშვილი, რომელსაც მთელი „გუბერნიის“ თამადის სახელით იცნობდნენ. მას უთამადია ისეთ პატივსაცემ ნადიმებზე, რომლებიც იმართებოდა იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებისათვის: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, ვასილ ბარნოვი და სხვა.

თელავის ამქარ-ხელოსანთა არსებული ქართული ტრადიციების შემსწავლელ სკოლის შეგირდის რამან ურთიელიძის ცნობით ამ სკოლაში შეგირდებს წვრთნიდნენ აგრეთვე წიგნის კითხვაში, დაატარებდნენ მათ ლხინისა და ჭირის სუფრებზე, წვრთნიდნენ სადღეგრძელოს ლექსად თქმაში და საერთოდ მხატვრული თქმის ხელოვნებაში.

1908 წელს თელავის საზოგადოებამ კოტე ბახუტაშვილის თამადობის 25 წლისთავი აღნიშნეს და იუბილე გადუხადეს.

სუფრის წარმართვის უძველესი და თვითმყოფადი ტრადიცია ქართველი ხალხის უდიდესი მონაპოვარია ერის კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ ამ მდიდარმა ტრადიციამ აიყვანა ქართველი ერი ადამიანის ქცევისა და ზნეობის უმაღლეს საფეხურზე, რასაც ღრმა საკაცობრიო ჰუმანიზმი ჰქვია.

„მაშ, გაუმარჯოს! საუნჯეს,
საამაყოს და ტურფასა,
ჩვენს თამადას და მასპინძელს,
ქართულ ოჯახს და სუფრასა“.

ზეინარ ხელაშვილი.

ტრადიციათა აღორძინების „პლეხანოველთა“ საზოგადოების საბჭო და გაზეთ „მეფეთუბნის“ რედაქცია იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების წევრი, სამაგალითო მეგობარი და დაუვიწყარი პიროვნება

ფირან ჯორჯაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს



ფირან ჯორჯაძეს სულ რამდენიმე საფეხურიღა აკლდა 70 წლისთავისა და მე-2 ათასწლეულის მიჯნის დასაძლევად.

ძირძველი ქალაქელების ოჯახიშვილი, თავისი საყვარელი უბნის „პლეხანოვის“ ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის, საბავშვო ბაღის, მეშვიდე რკინიგზის სკოლის, „გბი“-ს ემაწვილაკობისა და ჭაბუკობის წლები, დაკაცება... ყველაფერი აქ საყვარელ ქალაქსა და უბანში ხდებოდა. ხშირად ხატოვანი გამოთქმისათვის ხმარობენ – ლამაზი კაცი იყოო. ფირან ჯორჯაძე არამარტო თავისი იერსახით, არამედ სულიერადაც, მართლაც რომ, ლამაზი იყო. სხივნათელი და ძალზე ალალი კაცი წავიდა ჩვენგან. მისი მშვენიერი მეულლისა და ქალიშვილების მწუხრი, იმ სიყვარულმა უნდა დაჯაბნოს, რომლითაც ცხოვრობდა და ხარობდა მათი მოსიყვარულე ქმარი, მამა და დიდი პაპა, მეგობრებისა და ძმაკაცების უერთგულესი, დიდი და უღალატო კაცი.

იმ მიწისქვეშა თბილისშიც ბევრი ახლო მეგობარი ელოდება ფირანს და, ღმერთმა ქნას, მართალი იყოს ხალხში განაგონი – სიკვდილი, სიცოცხლის ბოლო სიტყვა არ არისო...

უახლოესი მეგობრები
გურამ გვეტაძე, ალიოშა სიხიხაძე, გუჯა კაკაბაძე, გურამ ნასიძე, ნუგზარ კალანდაძე, კუკური გვარიშვილი, ჯონდო ჯაველიძე, ოთარ გრძელიძე, გიზო ბერაძე, დათული დადიანი, გელა ცქვიტინიძე.

მეფეთუბანი
№11(23)
ყოველთვიური

გაზეთის დაბეჭდვა დააფინანსა საზოგადოების საბჭოს წევრმა ბატონმა გივ [illegible]ეკიშვილმა

გამოდის საზოგადოებრივ საწყისზე

რედაქცია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე

დამფუძნებელი: ვაშა სალუქვაძე – საზოგადოებისა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამომცემელი.
საბჭოს წევრები: ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ გვეტაძე, ვანო ზაზაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, ჯემალ კვანტალიანი, ჯემალ მიქელაძე, ილია ტაბაღუა, მიხეილ ქვლივიძე.

მოამზადა და გამოუშვა რედაქტორმა ვაჟა სალუქვაძემ. თბილისი 380064, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, №114. ტელ.: 95-45-90.